პროლეტარებო ყველა ძმეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (19919) სამშაბათი, 4 აგვისტო, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საძმეო გაფოლადება

ახალქალაქის რაიონში გადაუდებელ სამუშაოთა შორის ერთ-ერთი უპირველესია პირუტყვის გამოზამთრებისათვის საკუთები საკვების მომარაგება და ფერმებთან დაბინავება. რაიონმა ვალდებულება იკისრა 27.000 ტონა სენაჟი დაამზადოს.

გაცხარებული მუშაობაა გაჩაღებული სოფელ კოთელიის მინდვრებში. კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ, რომელსაც რობინზონ ზარიძე ხელმძღვანელობს, გათვალისწინებული 425 ტონა სენაჟის ნაცვლად დაამზადა 500 ტონა.

სურათებზე: ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიის კოლმეურნეობაში იღებენ სასენაჟე მწვანე მასას; ეს კი კომკავშირელი ჯუმბერ ყავრელიშვილია, რომელმაც სკოლის დამთავრებისთანავე კოლმეურნეობას მიაშურა, ახლა იგი ერთ-ერთი მოწინავე საკვებმომპოვებელია.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

გარდაქმნის ნიშნით

ინფორმაცია მისაღები გამოცდების შესახებ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში

აბიტურიენტი — რაღაც ნათელი იდუმალება ნამდვილად არის ამ სიტყვის შინაარსში, და ისიც, ვისაც ამ სიტყვით მოეხსენიებთ, დიახაც პგავს ჯერაც ბოლომდე შეუცნობელ გზასაყარზე ბედის საძებნელად გამოსულ ზღაპრის გმირს.

კიდევ ცოტაც და მას თავის სასურველ სასწავლებელში პირველი გამოცდის ჩასაბარებლად უხმობენ; მღელვარებისა და სახოვნის ხანა დაუდგათ არა მარტო აბიტურიენტებს, არამედ მათ გამომცდელებსაც, მათ მომავალ ლექტორ-მასწავლებლებს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფალეინდელ დღეს ხომ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის, თუ როგორ შეუსებას მიიღებენ ახლა.

ქვეყანაში დაწყებული გარდაქმნის ყოველისმომცველი პროცესი, უმაღლესი და საშუალო სკოლის რეფორმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს წლევანდელ მისაღებ გამოცდებს.

რაოდენ ტკვალდად და დასაბახსოვრებლად ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე: „შევუდექით რა საშუალო და უმაღლესი სკოლის რეფორმას, ჩვენ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით განათლების თანამედროვე სისტემის შექმნის გზაზე“.

ცნობილია, რომ გარდაქმნის პირობებში ადრინდელთან შედარებით ბევრად იზრდება რექტორატების როლი სასწავლებლების ცხოვრებაში. მათ ახლა გაცილებით მეტი უფლებები და შესაძლებლობანი აქვთ და ყოველივე ამან სასიკეთო პირი უნდა იჩინოს ამთავითვე, მისაღები გამოცდებისათვის მზადებისა და მისი ჩარჩოთვის პროცესში.

წლევანდელი გამოცდების მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ, ობიექტურ გარემოებათა გამო, რამდენადმე შემცირდა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგვისტოს დამლევეს პირველ კურსზე 14275 სტუდენტი ჩაირიცხება — შარშანდელზე 2400-ით ნაკლები.

კონტინგენტის შემცირება დაკავშირებულია იმასთან, რომ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში აშკარა გახდა დისპროპორცია უმაღლესი რეგოლის სპეციალისტების მომზადებასა და მათზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას შორის. ამიტომაც ამიერიდან სასწავლებლებში მიღებისას მტკიცედ დამკვიდრდება სპეციალისტზე სოციალური შეკვეთის პრაქტიკა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტთა კონტინგენტს ძირითადად სასწავლებლებსა და სამინისტროს, უწყებას, საწარმოსა თუ ორგანიზაციას შორის დადებული პირდაპირი ხელშეკრულებები განსაზღვრავს. ეს უთუოდ შეუწყობს ხელს სპეციალისტთა მომზადების პერსპექტიულ დაგეგმვას.

სტუდენტებს პირველი კურსიდანვე ეცოდინებათ, სად იმუშავებენ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუდმივი კონტაქტი ექნებათ თავიანთ მომავალ სამუშაოსთან, ერთმანეთს უკეთ შეავსებს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესები.

ერთი სიტყვით, იმათ, ვისაც სულ მალე სტუდენტად გახდომის ბედნიერება ელის, ცხოვრება უადრესად მიმზიდველ და საინტერესო პერსპექტივას უსახავს. ახლა კი მთავარია, ისე წარმმართოთ მისაღები გამოცდები, რომ უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხვის უფლება, მარილაც, მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეულთ მიენიჭოთ, არავის მივცეთ თუნდაც მცირეოდენი საბაბი, თქვას, ეს ლეტონი სიტყვებია და სხვა არაფერია.

როცა მთელი სიგრძე-სიგანით აფსაებ მისაღები გამოცდების დროს უმაღლესი სკოლების რექტორატების, პარტიული ორგანიზაციების, მიმღები და საგამოცდო კომისიების ამოცანებს, იოლად ასკვნი, რაოდენ პასუხსაგებია მათი მოვალეობა. საქმე ხომ მარტო რომელიმე საგანში დაწერილი ნიშნის სიზუსტე არ არის, აბიტურიენტებთან ურთიერთობაში გამომჟღავნებულმა მცირეოდენმა უყურადღებობამ, ასე ვთქვათ, კეთილშობილურობის სულ მცირე დეფიციტმა შესაძლოა ძალზე დიდი ვნება მოუტანოს იმას, რასაც ახალგაზრდა თაობის რიგიანად აღზრდა და დაკვალიანება მოითხოვს ყოველი ჩვენგანისაგან, და თუმცა ჩვენს სასწავლებლებში წლითიწლითით აშკარად უმჯობესდება მისაღები გამოცდების პროცესი, უნდა ვაღიაროთ, საფიქრალი და საზრუნავი ჯერ მაინც არ შემოგაკლებია.

აი, რედაქციაშიც მივიღეთ ერთი-ორი სიგნალი, როცა სასწავლებლებში საუოვნის შეტანისას აბიტურიენტებს არცთუ გულისხმიერად მოექცნენ, საუოვნეში შენიშნული მცირეოდენი უზუსტობის გულისთვის ისე გამოისტუმრეს უკან, რომ ხვირიანად არც კი განუმარტეს, რა და როგორ უნდა ეკნათ. არადა, წელს ხომ არავრთი სიახლეა მისაღები გამოცდების წესებში, ინსტრუქციებზე კი ყოველთვის ოიოლად არ მიუწევდება ხელი აბიტურიენტს. მშრალი, არსებითად არაფრისმთქმელი, კანცელარიული პასუხი მომავალი სტუდენტებისათვის თავაზიანობისა და გულისხმიერების ვერაფერი გაკვეთილია.

ალბათ ზედმეტი არ იქნება გავიმეოროთ, რომ იმ საქმეში, რომელიც უშუალოდ ახალგაზრდა კაცის მომავალს, მის ბედ-იღბალს უკავშირდება, ჭარიღმანი და მეორხარისხოვანი არაფერია — არც სიტყვა, არც საქციელი. აი, რამდენი ათეული წელი გასულა მას შემდეგ, ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მკითხველი კი აუღელვებლად ვერ იხსენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ერთ ეპიზოდს, რომლის მხილველი თავად ყოფილა.

იმ დღეს აბიტურიენტები გამოცდას უცხო ენაში აბარებდნენო, გვიამბობს იგი. ერთ-ერთ საგამოცდო კომისიას ჩვენი ცნობილი მოღვაწე ერეკლე ტატიშვილი თავჯდომარეობდა. უკვე ბინდი იყო. უნივერსიტეტის ეზოში თითო-ოროლა კაციღა შემორჩენილიყო. მალე მათ უაღრესად აფორიაქებული ყმაწვილი კაცი შენიშნეს. თურმე ნუ იტყვით, რაღაც განამაწიანში მას საგამოცდო ფურცელი დაკარგვოდა და ახლაღა ეპოვნა, როცა გამოცდა კარგა ხნის დამთავრებული იყო. ალარ იცოდნენ რით ენუგეშებინათ ტირილის პირამდე მისული აბიტურიენტი. სწორედ ამ დროს წამოსდგომია მას თავს თავის კოლეგასთან ერთად შინ მიმავალი საგამოცდო კომისიის თავჯდომარე. როგორც კი ამბავი შეუტყვია, მაშინვე შებრუნებულა უკან, დაუწყნარებია, დაუმშვიდებია ყმაწვილი, და გამოცდის შემდეგ დამსახურებული ნიშანიც მამაშვილური სიყვარულით მიუღიცია.

განა შეიძლება ასეთი პიროვნების ავტორიტეტს რაიმე ჭორმა და მითქმა-მოთქმამ მიაყენოს ჩრდილი მაშინ, როცა მისი საქციელი ლამის საგანგებოდ შეთხზული ლეგენდას პგავს. არადა, იგი ასეთი სათნო, ობიექტური, მომთხოვნი, მაგრამ კეთილმოსურნე იყო ყოველთვისო, ასკვნის ჩვენი მკითხველი და შეუძლებელია არ დაეთანხმო.

დიახ, მიმღები თუ საგამოცდო კომისიის ყოველი წევრი უთუოდ უნდა გრძნობდეს დაკისრებულ უაღრესად რთულ და საპატიო მოვალეობას, რიგიანად ეხმოდეს, რომ იგი აქ, გამოცდებზე, ყოველი ჩვენგანისათვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურშია და არა აქვს უფლება ფუჭი, უმაქნისი, „ორიგინალური თვმების“ შეთხზვასა თუ პირადი ამბიციების დაკმაყოფილებას შესწიროს დრო.

რამდენადაც მეტი ღირსეული პიროვნება იქნება საგამოცდო კომისიებში, მით უფრო ნაკლები საფუძველი მიეცემათ „ფრთიან გამოთქმათა“ მოყვარულებს, რომ იმას, რაც ახლა უმაღლეს სასწავლებელთა ზღურბლთან ხდება, აუღელვებლად უწოდონ „საგამოცდო ციებ-ცხელება“. და თუ რაიმე მართლაც მოგვაგონებს ამგვარ „ციებ-ცხელებას“, ეს ძალზე გულსატკენი და დამაფიქრებელია.

აბიტურიენტებს გამოცდების დროს უაღრესად მშვიდი ატმოსფერო სჭირდებათ და ამისთვის ზრუნვა თანაბრად მართებთ მშობლებს, ახლობლებს და იმათაც, ვინც გამოცდებს იბარებს. გამოცდების გამო წარმოქმნილი ზედმეტი მღელვარება მეტი რომ არა ვთქვათ, შეურაცყოფს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის ღირსებას, მით უმეტეს, რომ სრულიად შეუძლებელი და წარმოუდგენელია ამ მხარეთა ინტერესების დაპირისპირება.

ვფიქრობთ, ზოგჯერ უკუფფექტს ვიღებთ მაშინაც, როცა ყოველი ტრიბუნიდან, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებით დიდხანს და ზედმეტი თავგამოდებით ვაშტიკებთ იმას, რასაც, არსებითად, მტკიცება არ სჭირდება — მისაღებ გამოცდებზე უზრუნველყოფილი იქნება სრული ობიექტურობა და უმაღლესში მხოლოდ ღირსეულები ჩაირიცხებიანო.

ასევე ზედმეტი ხომ არ მოგვდის, როცა თავისთავად კეთილი სურვილით აღძრულები — ოღონდ აბიტურიენტები და მათი ახლობლები დავარწმუნოთ ჩვენს ობიექტურობაში — საჯაროობის მიზნით ათობით, ზოგან — ასობით მშობელ ვიწვევთ გამოცდებზე დასასწრებად? სხვას რომ თავი დავანებოთ, განა ასეთი საქციელით ჩვენდა უნებურად ავტორიტეტს არ ვუბღალავთ მასწავლებლებს, იმათ, ვისაც სულ მალე ჩვენი სტუდენტი შეიქნება არა მარტო პროფესიული, არამედ ზნეობრივი აღზრდაც უნდა მივანდოთ!

გამოცდების სული და გული მასწავლებელია, მის მაგივრობას ვერავინ ვასწევს, ამიტომ პირველ ყოვლისა თვითონ ისიც და სხვებიც თვალისჩინეიოთ უნდა უფრთხილდებოდნენ ზნეშალალი აღმზრდელის სახელსა და ავტორიტეტს.

საჯაროობაში, ცხადია, კარგის მეტი არაფერია, ოღონდ, როგორც ყველაფერში, აქაც გონიერება და ზომიერება გვმართებს.

და კიდევ — დიდ საზრუნავს გაგვიწევს წელსაც იმ აბიტურიენტების სამუშაოდ მოწყობა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოხვდებიან. ისინი დროულად უნდა დავაკვალიანოთ და დავარწმუნოთ, რომ მათ გარჯას სიკეთის მოტანა შეუძლია საზოგადოებისა და პირადად ამ ახალგაზრდებისათვისაც; შრომაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ხომ ვერაფერი შეეცლის!

უდიდესი ზრუნვა და ყურადღება, რომელსაც მომავალი თაობის სწავლისა და აღზრდის მიმართ დღენიადაგ იჩენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჟამს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას უორმაგებს ჩვენი სასწავლებლების პედაგოგებს, რექტორატებს, პარტიულ ორგანიზაციებს.

გამოცდების მაღალ ორგანიზებულ დონეზე წარმართვა მათი ერთ-ერთი უპირველესი ვალია. ეს გამოცდები თითოეული ახალგაზრდისათვის, თითოეული აბიტურიენტისათვის პირველ ყოვლისა სოციალური სამართლიანობის, სრული ობიექტურობისა და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის უანგარო ზრუნვის, ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობის დაუვიწყარ გაკვეთილად უნდა გადაიქცეს.

ვიმუშაოთ ახლებურად

ფლითიფლოგით იზრდება კასპის რაიონის წვლილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევაში. აქ სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებთან ერთად ინტენსიურად ვითარდება მრეწველობა — საეკსპლოატაციოდ გადაეცა სამშენებლო საკედლე მასალების ახალი ქარხანა, მიმდინარეობს ცემენტ-შიფერის კომბინატის რეკონსტრუქცია, სადაც წლის დამლევისათვის შწყობრში ჩადგება საათში 35 ტონა კლინკერის სომძლავრის ახალი მბრუნავი ღუმელი. მომავლისათვის გათვალისწინებულია ცემენტის წარმოების ახალი სამძლავრეების შექმნა, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს რესპუბლიკაში ცემენტის ნაკლებობის პრობლემის გადაჭრას.

კასპის რაიონში ჩავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. მან დადათვალიერა სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო ობიექტები. ესაუბრა სპეციალისტებს, მუშებს, გამოიკითხა, თუ როგორ ვითარდება პერსპექტიული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, როგორი ხარისხის პროდუქცია გამოდის, როგორი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები აქვთ მუშა-მოსამსახურეებს, როგორ მიმდინარეობს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

კოდისწყაროს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა მეცხოველეობისათვის საკვების წარმოება მკვეთრად გაიზარდოს პერსპექტიული საკვები კულტურების უფრო ფართო დანერგვის გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველ ჰექტარზე მწვანე მასის მაქსიმალურ მოსავალს, აღინიშნა, რომ უნდა მიაღწიოთ მებაღეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების რენტაბელობის ზრდას.

მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკის, მეტეხის სამშენებლო საკედლე მასალების ქარხნის, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის დათვალიერების დროს ყურადღება მიეპყრო ადგილობრივი შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ადამიანების ბინებით უზრუნველყოფას, იმას, რომ უფრო აქტიურად უნდა მოვაქციოთ საქმეში არსებული წარმოების რეზერვები, როგორიც არის, მაგალითად, პროგრესული უნარჩენო ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის დანერგვა, შიდასაწარმოო კოოპერაციული კონტროლის სრულყოფა, რომლის მეოზებითაც შესაძლებელია არა მარტო კარგი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღწევა, არამედ პროდუქციის ხარისხის შესამჩნევად გაუმჯობესებაც.

ამ და სხვა საკითხების გამო, კონკრეტული, პრინციპული საუბაასი გაგრძელდა კასპის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 26 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად კასპის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა საკითხი.

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ჯ. ლ. ჯავახიშვილის მოხსენებაში, კრების მონაწილეთა გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გადასაწყვეტ ამოცანებს, გამოვლინდა წარმოების ცალკეულ უბნებზე ჩამორჩენის მიზეზები. დაისახა შრომითი კოლექტივების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

კრებაზე გამოვიდა ჯ. ი. პატიაშვილი.

კრებაზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებაში შეიმჩნევა დადებითი ძვრები. მეთერთმეტე ხუთწლეულში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 13 პროცენტით გაიზარდა და 1985 წელს 76 მილიონ მანეთს მიაღწია. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 10 მილიონი მანეთის პროდუქცია. მებაღეებმა ხილის დამზადების მოცულობა წინა ხუთწლეულთან შედარებით 2,2-ჯერ გაზარდეს. 1986 წელს რაიონის მშრომელებმა გამიმრავლეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის საკვებრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

მაგრამ, აღინიშნა კრებაზე, მიღწეულმა არ უნდა დაფაროს ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები და სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც შეინიშნება ცალკეულ დარგებში. მაგალითად, მებაღეობა რაიონში. სოფლის მეურნეობის ყველაზე რენტაბელური დარგია. მარტო შარშან მან 1,4 მილიონი მანეთი მოგება მოგვიტანა, მაშინ როცა სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მთელმა მოგებამ მხოლოდ 1,2 მილიონი მანეთი შეადგინა. თითქოს მებაღეობის შემდგომ განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო რამ ხდება: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხეხილის ბაღების ფართობი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ათას ჰექტარზე მეტით შემცირდა. საეკსპლოატაციო ბაღების დიდი ნაწილი კი საფუძვლიანად უნდა განახლდეს.

ყოველივე ეს რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა უყაირათობისა და უპასუხისმგებლობის შედეგია. აქვე ითქვა, რომ ბოლო წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. ამას მოწმობს ის, რომ შარშან, ბაღების ფართობის მკვეთრი შემცირების მიუხედავად, ხილის წარმოება ხუთი ათასი ტონით — თითქმის მესამედით გაიზარდა.

კრებაზე გამოითქვა შეშფოთება მევენახეობის მდგომარეობის გამო. აქ, რატომღაც წლითიწლით მცირდება როგორც ვენახების ფართობი, ისე ყურძნის წარმოება. დაუშვებელად დიდი სიმეჩხრის გამო საშუალო მოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა, იგივე მაგალითად, შარშან 29,3 ცენტნერს არ აღემატებოდა.

რაიონში სასოფლო-სამეურნეო საკარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი უკაცია მარცვლეულ კულტურებს. მაგრამ ამ ფართობს ჯერჯერობით ეფექტიანად ვერ იყენებენ. დაბალია მოსავლიანობა. ამავე დროს, თუ ფართოდ დაინერგება ამ კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია, ყოველ ჰექტარზე მარცვლეულის მოსავალი შეიძლება ორჯერ და მეტად გაიზარდოს.

რაიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, უთუოდ გულისხმობს მიწების რწყვის მკვეთრ გაუმჯობესებას. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი, რომ საჭიროა შევუდგეთ თემძმის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციას, უაზლოეს მომავალში კი დავიწყოთ მისი მეორე რიგის მშენებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში დამატებით მოვაქციოთ ორი ათასი ჰექტარი სავარგულები. ამდენივეს მორწყვას შეეძლებთ მდინარე გუდალურის წყალსაცავის მეოხებით კავთისხევისა და ქვათაზევის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც წყლის ნაკლებობის გამო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძალზე მწირ მოსავალს იღებენ.

კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას, სადაც ჯერ კიდევ მეტად მაღალია პროდუქციის თვითღირებულება, რაც, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია მტკიცე საკვები ბაზის უქონლობით.

სოფლის მეურნეობაში არსებული სიძნელეები მნიშვნელოვანწილად განაპირობა შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, მისი პროგრესული ფორმების დანერგვის უაღრესად ნელმა ტემპმა. საზოგადოებრივ მეურნეობებში აშკარად ვერ აფასებენ სათანადოდ ბრიგადული იჯარის მნიშვნელობას, თუმცა მისი ცხოველუნარიანობა დიდი ხანია დამტკიცდა ცალკეულ კოლექტივებში. მაგალითად, დოესის საბჭოთა მეურნეობაში იჯარის მეთოდით მომუშავე რგოლმა ბოლო ორი წლის განმავლობაში შეძლო თითქმის ორჯერ გაედიდებინა კულტურების მოსავლიანობა, შრომის ნაყოფიერება კი 52 პროცენტით; მნიშვნელოვნად შემცირდა ავრეთვე პროდუქციის თვითღირებულება.

სერიოზული პრობლემებია რაიონის სამრეწველო საწარმოთა საქმიანობაში, მათ დროულ გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარება.

ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, რაიონის მრეწველობამ 1986 წელს ვერ შეასრულა გეგმა ვერც ერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. შემცირდა შრომის ნაყოფიერება, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითმა წილმა შეადგინა მხოლოდ 23,9 პროცენტი. რაც შეეხება მოგების გეგმას, იგი რეალიზებულია მხოლოდ 34,7 პროცენტით. საფუძვლიან პრეტენზიებს გამოთქვამენ მომხმარებლები აქ გამოშვებული ცემენტის, შიფერის, კედლის ბლოკების, წითელი აგურის ხარისხის გამო.

ამ და სხვა ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ პრინციპული, მოუკერძოებელი საუბარი დაედო საფუძვლად აქტივის კრების მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელშიც დაისახა რაიონის საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროს ვიწრო ადგილების ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა მოთხოვნების შესაბამისად (საქინფორმი).

საქონელი და მოსახურება: დავაჩქაროთ გარდაქმნა

მასპინძრივი მოთხოვნის ნაწარმოთა და ფასიანი მომსახურებით რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანაა. მისი წარმატებით გადაწყვეტა სოციალურ სფეროში საგრძნობი ძვრების მიღწევის შესაძლებლობას მოგვცემს. ამ აზრმა განსაზღვრა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის ტონი და შინაარსი. მისმა მონაწილეებმა განიხილეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ფასიანი მომსახურების განვითარების პრობლემები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ა. წულაძე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ზ. მაკაშვილი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ს. ნილოსანი, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ო. ნ. სულაძე, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავჯდომარის მოადგილე ა. ა. შავლოხოვი, საქართველოს სსრ სახაზარმრეწვის თავჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ა. ღურწკაია, ცეკავშირის გამგეობის თავჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი კ. თ. სალია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ი. პაპუშინაური, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მეინის“ გენერალური დირექტორი ნ. ი. კახიშვილი, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი თ. ი. უჩანეიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ნ. ოკლეი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვ. მელქაძე.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება, მომსახურების სფეროს განვითარება ნიადაგ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრშია, აღნიშნეს ორატორებმა. არსებითად, არ ყოფილა ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენუმი, რომელზეც სჯა-ბაასი არ გამართულიყოს ამ საკითხებზე. ბოლო წლების განმავლობაში მოეწყო რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ორი კრება, რომლებიც მთლიანად ამ საკითხებს მიეძღვნა.

მაგრამ დღეს პირდაპირ და გულახდილად უნდა ითქვას, რომ საგრძნობ ძვრებს ვერ მივაღწიეთ. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, კონკრეტული ხელმძღვანელები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამ უმნიშვნელოვანესი სფეროსათვის, ჯერ კიდევ არ შემობრუნებულან პირით პრობლემისაკენ, იჩენენ პასიურობას, ინერტულობას, ვერ მოიშორეს აზროვნების დრომოჭმული სტერეოტიპები და კვლავ არაეფექტიანი მეთოდებით მუშაობენ. ჯერ კიდევ ხდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის დაკალებათა კორექტირება. ამ თვალსაზრისით სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს რესპუბლიკას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ თათბირზე.

ამ კრიტიკასაც, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, უნდა მივუდგეთ, შევაფასოთ იგი არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური პოზიციებიდანაც, ეკონომიკის გარდაქმნის, პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის, 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების მიერ დასახული სოციალური გარდაქმნების რეალიზაციაზე სულ უფრო მეტი ორიენტაციის თვალსაზრისით. უფრთხილეს ყოველისა იმიტომ, რომ კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში ჯერ კიდევ ბევრი უწესიერობა, ნაკლი და ხარვეზი გვაქვს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ეკონომიკური და სამეურნეო პრაქტიკის კაცტევადობა ჯერ კიდევ აშკარად არ არის საკმარისი. ეს კი ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც ხელს უწყობდეს ადამიანთა შრომითი აქტიურობის ზრდას, ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებას.

ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროსადმი, მივიჩნიოთ იგი ბოლო დროს შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესრულების ერთ-ერთი გადამწყვეტ მიმართულებად. შესაბამისად ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა კადრებისადმი, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტი ხელმძღვანელების მიმართ.

სტატისტიკა მოწმობს, რომ ფულის ემისიამ გასულ ხუთწლეულში შეადგინა რამდენიმე მილიარდი მანეთი. მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობამ კი დღეს 7 მილიარდ მანეთს მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ მშრომელებს არ შეუძლიათ გამომუშავებული სახსრებით შეიძინონ საჭირო საქონელი, სრულად ისარგებლონ მომსახურებით. ეს წარმოშობს არასასურველ პროცესებს, ნიადაგს უქმნის დარღვევებს. და ამაში უშუალოდ მიუძღვით ბრალი საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს. სათანადოდ არ მოჰკითხავენ შემსრულებლებს პარტიული კომიტეტები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზარი უზარმაზარია, თქვეს თათბირის მონაწილეებმა. საკმარისია ითქვას, რომ ძირითადი სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარება ახლა ნორმატივის მხოლოდ 40-80 პროცენტს აღწევს. მრავალი ნაწარმის უზრუნველყოფის მიხედვით რესპუბლიკა არსებითად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე ქვეყნის ცალკეულ რეგიონებზე.

თითქოს არის მოქმედების, ინიციატივის, სოციალისტური გერგილიანობის გამოჩენის ასპარეზი. სინამდვილეში კი ყველაზე ელემენტარულ პრობლემებსაც ვერ ვწყვეტთ. მაგალითად, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ვაჭრობის სამინისტროს ვერა და ვერ მოუგვარებიათ საქონლებრუნვის განწყობილება ტერიტორიული თვალსაზრისით და ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით. მაგალითად ბაბაში, გორის, ქარელისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, სადაც მცხოვრები საკმაო შემოსავალი აქვთ, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე ორჯერ ჩამორჩება ისედაც დაბალ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს. დაახლოებით მესამედს აღწევს მახარაძის, ჩხოროწყუს, ხობის, ლანჩხუთის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თეძოჯოლის, თეთრი წყაროს, ცაგერის, მცხეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის არარეალიზებული შემოსავლის წილი. ამას ის მოჰყვება ხოლმე, რომ ადამიანები იძულებული არიან სხვაგან გაეგმზავრონ ზოგჯერ ყველაზე ჩვეულებრივი საქონლის შესაძენად.

შორს არის საქონელბრუნვა ოპტიმალური სტრუქტურისგანაც. რესპუბლიკის ბევრ შინაგან შესაძლებლობას უაღრესად არადამაკმაყ

საქონელი და მოსახურება: დავაჩქაროთ გარდაქმნა

(დასასრული)

რბილი მეურნეობების მიერ ბოსტნეულის დამზადებაში დაშვებული გარღვევა, 15 მილიონ მანეთზე მეტი თანხის დაკახადა მოგვიხდა. გარდა ამისა, სახელმწიფო სავაჭრო ქსელში ზოგიერთი პროდუქტის ნაკლებობის გამო სასურსათო საქონლიბრუნვაში გაუმართლებლად დიდია საკოლმეურნეო ბაზრების ხვედრითი წილი, რომელიც 10-11 პროცენტს აღწევს. იქ მოსახლეობის მიერ დატოვებული ფუღაც, შეიძლება ითქვას, „ქრება“ ბანკის სალაროებიდან.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, თქვეს ორატორებმა, მეტად სუსტად იყენებენ მათთვის მინიჭებულ იმ უფლებებს, რომ ბაზრებში კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი გაყიდონ სახელმწიფო ფასებით მათი დამზადების მოცულობის 30 პროცენტის ანგარიშში. ცოცხალ ბრიტ მუშაკებმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ხელშეკრულება დადეს პირად დამხმარე მეურნეობათა მხოლოდ ნახევართან, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე შებალეობის ამხანაგობებზე, რომლებიც ჯერჯერობით არ მოხვედრილან კოოპერატორთა თვალთახედვის არეში. ბევრი დარღვევაა დამამზადებელ პუნქტებში, სადაც მყიდველის ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუება კაპიკებითა და კილოგრამობით კი არა, ასობით მანეთითა და ტონობით ხდება. აქ წესრიგის დამყარება როგორც თვით ცეკავშირის, ისე ადგილობრივ ხელისუფალთა უპირველესი ამოცანა, უმნიშვნელოვანესი საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფასწარმოქმნის პრობლემებს. მთლიან პროდუქციასა და ტემპს გამოდევნებული ზოგიერთი საწარმო მიმართავს ძვირადღირებული პროდუქციის გამოშვებისა და ფასების გადიდების მანკიერ პრაქტიკას. მაგალითად, ბოლო 15 წლის განმავლობაში შალის ქსოვილებისა და თავსაფრების წარმოების მოცულობა ნატურალური გამოხატულებით 10,2 პროცენტით შემცირდა, ღირებულებითი გამოხატულებით კი 25 და მეტი პროცენტით გაიზარდა. ფეხსაცმლის წარმოება ნატურით 15,6 პროცენტით გადიდდა, ღირებულების მიხედვით კი — თითქმის 90 პროცენტით. ფასების სახელმწიფო კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ, თქვეს ორატორებმა, უფრო აქტიური გავლენა უნდა მოახდინონ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების სასარტიმენტო პოლიტიკაზე მათ ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტების მეოხებით.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდის საწარმოო რეზერვებს. ასეთი რეზერვები საკმაოდ არის. მარტო შარშან კომპლექსური პროგრამის დაკალებებთან შედარებით გეგმების შემცირების გამო რესპუბლიკას დააკლდა 200 მილიონ მანეთისაზე მეტი მასობრივი მოთხოვნის ნაწარმი. რესპუბლიკის ყოველი მეოთხე საწარმო მათ საერთოდ არ უშვებს. არადა, იქ მათი დამზადება ხელფასის ფონდის ყოველ მანეთზე 20 კაპიკამდე, რომ გაიზარდოს, რესპუბლიკაში მატება 50 მილიონ მანეთს შეადგენდა.

ყოველ მცხოვრებზე არასასურსათო საქონლის გამოშვება საქართველოში 614 მანეთს შეადგენს. იგი მხოლოდ მერვე ადგილზეა ქვეყანაში და, მაგალითად, ორჯერ ჩამორჩება ესტონეთს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საკმაო ხვედრით წილს, მდგომარეობა კიდევ უფრო არასახარბიელოა. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში საკმაოდ არ არის დატვირთული არსებული სიმძლავრეები. ამავე დროს, მათი სრული გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდიდა პროდუქციას — სულ ცოტა 100 მილიონი მანეთით. ამ დროს სამინისტროში აღინიშნა კომპლექსური პროგრამის მოცულობიდან გადახრა დაახლოებით 120 მილიონი მანეთის ოდენობით. დარგის შტაბი ვერ აუმჯობესებს მუშაობას, არ იჩენს საჭირო მომთხოვნელობას საქვეუწყებო საწარმოებისადმი. საქმისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად სისტემაში უაღრესად მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა. გადაუხდელმა თანხამ 170 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მას ხმარდება საკრედიტო დაბანდებათა მეოთხედზე მეტი. მიუხედავად იმისა, რომ დარგი თვითდაფინანსებაზე გადავიდა, ქრონიკული ზარალიანი სოფლის მოსახლეობის ხუთმა პროცენტმა. 300-ზე მეტ კოლმეურნეს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში.

მეჩიიებობაში გაწეული მფშაობის მიუხედავად აჭარის სახაგრომრეწვი და მისი ქვეგანაყოფები ჯერჯერობით ვერ სძლევენ ისეთ ძველ ნაკლოვანებებს, როგორიც არის იერიშობანაა ჩაის კრეფის დროს, მისი ტრანსპორტირების წესების დარღვევა, რის შედეგადაც უარესდება ნედლეულის ხარისხი. ბევრი პრობლემაა მეცხოველეობაშიც. ბოლო 10 წლის მანძილზე საზოგადოებრივ მეურნეობათა ხვედრითი წილი ციტრუსის დამზადების მთლიან მოცულობაში 1,7-ჯერ შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ ციტრუსის ფართობი 500 ჰექტარით გაიზარდა.

ახალი ეკონომიკური პირობები, აღნიშნეს ორატორებმა, მომსახურების სფეროში კოოპერაციული საწყისების განვითარების დიდ შესაძლებლობებს იძლევიან, მაგრამ ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული 36 კოოპერატივიდან მხოლოდ რვა მუშაობს.

მომთხოვნელი სკკ-ბაასი გამიმაღლდა ცუდად გააზრებული საასორტიმენტო და ფასების პოლიტიკის დროს მთელი რიგი ნაწარმის უხარისხობას ის მოსდევს, რომ საქონელი მკვდარ ტვირთად ჩაწვება ხოლმე. სპეციალისტთა შეფასებით არ ხერხდება ბრუნვაში მოვაქციოთ 400 მილიონ მანეთზე მეტი თანხის მარაგი, მის შესანახად მარტო ბანკის პროცენტები შეადგენს დაახლოებით 20 მილიონ მანეთს, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ზედმეტ ხარჯებზე. ამასთან ნაწარმის ზრდა საცალო ქსელში ერთისამად უსწრებს წინ საქონლებრუნვის მატებას.

ცხადია ერთი რამ: ასეთი პროდუქციის გამოშვებაც და შენახვაც სახელმწიფოსთვის ძმიმე ტვირთია. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ოპერატიულად უნდა მიაგნოს საუკეთესო გადაწყვეტას, მათ შორის ჩამოფასებას. მეორე მხრივ, უფრო აქტიურად უნდა მოვკიდოთ ხელი ასორტიმენტის განახლებას. მაგრამ, უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის დროს 53 მილიონი მანეთი კრედიტიდან ახალი ნაწარმის შესაქმნელად ხუთი თვის განმავლობაში რესპუბლიკის საწარმოებმა გამოიყენეს 15 პროცენტზე ცოტა მეტი.

საქონელზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივ მრეწველობას. ეს მოქნილი და მობილური დარგი მოწოდებულია სამომხმარებლო ბაზარი ავაოსოს საჭირო ნაწარმით, ოპერატიულად გარდაიქმნას მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. ბოლო დროს ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში ეიმჩნევა ზოგიერთი სასიკეთო ძვრა. იქმნება საკუთარი ინდუსტრიულ-სამშენებელო ბაზა, მოწყობილობის კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამსახურები, შენდება ტექნოლოგიური აღჭურვილობის დამამზადებელი სპეციალური საწარმო და ა. შ. მაგრამ იმისათვის, რომ შევასრულოთ დარგის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის დასახული პროგრამა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გარდავქმნათ ძირეული რგოლები, შევიმუშაოთ და ავამოქმედოთ მექანიზმი, რომელიც მკვეთრად გაზრდის მუშაობის შედეგებისათვის შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობას.

მასობრივი მოთხოვნის პროდუქციით ბაზრის გაჯერებას მძლავრი დახმარება უნდა გაუწიოს ინდივიდუალურმა შრომითმა საქმიანობამ. მაგრამ აქაც ბევრი პრობლემაა. ნაწარმის რეალიზაციისათვის საკომისიო მაღაზიების ქსელი ჯერჯერობით არ ფართოვდება, არ ვითარდება არაკონდიციური მასალებითა და წარმოების ნარჩენებით ვაჭრობა — ასეთი ობიექტები რესპუბლიკაში უბრალოდ არ არის.

ორატორებმა განსაკურებული ყურადღება მიაპყრეს მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის საკითხებს. აღინიშნა, რომ აქ არსებითი როლის შესრულება შეუძლიათ სპეციალიზებულ და საფირმო მაღაზიებს. ერთი ასეთი მაღაზია „მოდის“ სახელწოდებით თბილისში შარშან გაიხსნა. აქ სახელშეკრულებო ფასებით უნდა გაიყიდოს მსუბუქი მრეწველობის განსაკუთრებით მოდური ნაწარმი, რომელსაც რესპუბლიკა უშვებს. ასეთი ნაწარმი იქ არის, მაგრამ ძალზე ცოტა. დახლების თითქმის სამ მეოთხედს ავსებს ოგივე უბადაღებული „მთლიანი პროდუქცია“. არ არის ჯერჯერობით არც შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმი, არც კონიუნქტურის ანალიზი.

თავის დროზე რესპუბლიკის დედაქალაქში ფუნქციონირებდა მაღაზია „სიახლე“, სადაც აპრობაციას გადიოდა მრეწველობის მიერ გამოშვებული ახალი ნაწარმი. მაგრამ ვაჭრობის სამინისტრო, რომელმაც დახურა „სიახლე“, არ ჩქარობს მუშაობის ანალოგიურ პირობებზე გადაიყვანოს მაღაზია „მოდა“.

ამავე დროს, აღინიშნა თათბირზე, ამ სავაჭრო ობიექტში შეიძლება მოეწყოს სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ახალი და და სხვა პროდუქციის გაყიდვა. ვაჭრობის სამინისტრომ მეტი გონგილიანობა უნდა გამოიჩინოს, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ინიციატივით საწარმოო-სავაჭრო ფირმა „ახალგაზრდულის“ შექმნას. მის მუშაობას საფუძვლად უდეკს სრული სამეურნეო ანგარიში, თვითთანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპები. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ახალგაზრდობის შემოქმედებითი ძალები. ფირმა უნდა გახდეს იმ ახალ საწარმოთა წინამორბედი, რომლებიც აერთიანებენ პროდუქციის კონსტრუირებას, წარმოებასა და რეალიზაციას.

განსაკუთრებით ბევრი პრობლემა დგგროვდა ფასიანი მომსახურების განვითარებაში, თქვეს თათბირის მონაწილეებმა. მათ შეფოთებით აღინიშნეს, რომ მათი წილი მოსახლეობის ხარჯებში გაუწეწყვეტლივ კლებულობს. ამავე დროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები უფრო ხალისით ემსახურებიან არა მოსახლეობას, არამედ საწარმოებსა და ორგანიზაციებს უნაღდფულო ანგარიშწორებით, რომლებიც დარგის მთავარი კლიენტები და ამავე დროს მისი მთავარი დებიტორები გახდნენ. და აი, გამოდის, რომ გეგმები სრულდება, გადაუხდელი თანხა კი წელს 70 პროცენტით გაიზარდა და 37 მილიონ მანეთს მიაღწია.

ამავე დროს რესპუბლიკაში რომ მივაღწევდეთ, მაგალითად, ესტონეთის დონეს ტრანსპორტით, კომუნალური მომსახურების, აგრეთვე კავშირგაბმულობის, საბინაო მეურნეობის, სხვა სახეობის მომსახურების მიხედვით, ბანკის სალაროებში შეტანდოდა დამატებით 300 მილიონ მანეთზე მეტი. რამდენჯერმე ჩამორჩება საშუალო-რესპუბლიკურს ყოველ მცხოვრებზე მომსახურების მოცულობა აბაშის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, დმანისის, ყვარლის, მარნეულის, ორჯონიკიძის, თიანეთის, წალკის, წულუკიძისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ფასიანი მომსახურების სისტემის განვითარებისათვის მუშაობა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოში, ეაჭრობის სამინისტროში, კინემატოგრაფისტთა კავშირში, თბილისის საქალაქო აღმასკომში, განათლების სამინისტროში, ჯანმრთელობის და მშენებლობის სამინისტროებში, სახკინში, „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“, „საქქვანაბშირის“, „ქიმბოჭკოს“ და სხვა ვალერთიანებებში. ამ მომსახურების გაწევის უფლება ხომ პრაქტიკულად ყველა ორგანიზაციას აქვს.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით კოოპერატივების განვითარების საკითხებში საჭიროა საუკეთესო კოორდინაცია. მაგრამ ამ სიახლის გზაზე ხშირად ხელოვნური ბარიერები იქმნება. მაგალითად, იმისათვის, რომ ერთ-ერთი კოოპერატივისთვის მიეცა წარმოების ნარჩენებისაგან ტყავგალანტერიის ნაწარმის დამზადების მოწმობა, კიროვის რაიაღმასკომს რატომღაც დასჭირდა ვაჭრობის სამინისტროს ცნობა იმის შესახებ, რომ ეს ნაწარმი ნამდვილად გაიყიდება. აუცილებელი აღმოჩნდა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ნებართვაც იმისთვის, რომ საწარმოს, რომელსაც ეს ნარჩენები აქვს, ნამდვილად შეუძლია გასცეს იგი საქონლის წარმოებისათვის.

სადღეისოდ რესპუბლიკაში რეგისტრირებულია საქონლის წარმოებისა და ფასიანი მომსახურების გაწევის 470 კოოპერატივი, მოქმედება კი დაიწყო 112 კოოპერატივმა. გამოანგარიშება ცხადყოფს: ყველა რეგისტრირებულ კოოპერატივს მუშაობა რომ დაეწყო 1 აგვისტოდან, ეს, სულ ცოტა, 20-25 მილიონ მანეთის შემოსავალს მოგვცემდა მოსახლეობაში დამატებითი საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის მეოხებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ კოოპერატივების შექმნისათვის განაცხადები ერთიოთხად მეტია, ცხადი ხდება, რა უდიდესი რეზერვები იკარგება.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დისციპლინის განმტკიცება, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლა, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი არა, ერთ-ერთი მთავარი რეზერვი მაინც არის. შარშან, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, სადაც ლაპარაკი იყო უშრომელ შემოსავალზე, მოიყვანეს ასეთი მონაცემები. ყოველწლიურად რესპუბლიკის მოსახლეობა კერძო პირებს ზედმეტად უხდის ათ მილიონობით მანეთს არასასურსათო საქონლისათვის, მომსახურებისათვის, სახლების მშენებლობისა და ბინების რემონტისათვის.

თბილისის ავტოსამრეცხაოებში ქრონომეტრაჟმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფო სალაროში არ ხვდება მნიშვნელოვანი თანხა. მილიონობით მანეთის აღურიცხავი პროდუქცია, განსაკუთრებით წინდები, სიგარეტი, საგალანტერეო ნაწარმი და სურსათი შედის სავაჭრო ქსელში. და სანამ ეკონომისტები თავს იმტვრევენ იმაზე, თუ სად მიდის მოსახლეობის არარეალიზებული შემოსავლის დიდი ნაწილი, რომელი კი ხვდება შემნახველ სალაროებში, აძლევს საქონლებრუნვას, თურმე, იგი იხარჯება ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების, მექრთამეობის, კომბინატორობის „დაფინანსებაზე“, ხმარდება „სათადარიგო ეკონომიკის“ ბრუნვას, რომელიც არცთუ პატარაა.

არ წყდება სოციალისტური საკუთრების დატაცება. ივლისში ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მუშაკებთან ერთად ახალციხის სადარგთაშორისო საწარმოო გაერთიანებაში გამოავლინა საფეიქრო მასალების ზედმეტი ჩამოწერისა და აღურიცხავი ეკონომიკის შექმნის ფაქტები. ეს ერთეული შემთხვევა როდია ადგილობრივი მრეწველობისათვის. შარშან ასეთივე პრინციპით მოქმედებდნენ საქმოსნები საჩხერის რაიონულ სამრეწველო კომბინატში, ამას წინათ ანალოგიური მოქმედებისათვის დაკავეს ყვარლის რაიონული სამრეწველო კომბინატის ბევრი მუშაკი.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში მკაცრი სახელმწიფო წესრიგის დამყარება დარგობრივი უწყებების, ადმინისტრაციული ორგანოების საერთო ამოცანაა. გვერდზე არ უნდა დარჩნენ პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები აღმასკომები. გარდაქმნას აქ ყველა უნდა უზრუნველყოფდეს — რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოც, ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებებიც, უშუალოდ შრომითი კოლექტივებიც, საზოგადოებრიობაც.

ერთ-ერთი ძირითადი კადრების პრობლემა. ასეთი ფაქტი: მას შემდეგ, რაც თბილისიდან ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადაიტანეს მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი, გაზარდა დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქუთაისის მკვიდრ სტუდენტთა რიცხვის მატების ტენდენცია, რომელთა ხვედრითმა წილმა 90 პროცენტს მიაღწია. და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულია დარგის საწარმოთა დაახლოებით 60 პროცენტი. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო უახლოეს მომავალში უნდა გადავიდნენ უკვე მსუბუქი ინდუსტრიისთვის ინჟინერთა მიზნობრივ მომზადებაზე.

არანაკლებ მწვავედ დგას კადრების პრობლემა მომსახურების სფეროს დარგებშიც. პარტიის სოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები გაუმართლებელი სიფრთხილით ეკიდებიან ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდობის, უპარტიოთა დაწინაურებას. არ არის მოგვარებული კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაც. ერთი სიტყვით, თქვეს ორატორებმა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მომსახურების სფეროს განვითარებაში ცვლილებები საბოლოოდ უნდა დაჩქარდეს, ეს, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს როგორც რესპუბლიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, ისე ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების მუშაობის სტილის სრულყოფას. პარტიული კომიტეტები, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ! მოვალენი არიან მკვეთრად გაზარდონ თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიის სოციალური პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებისათვის.

საჭიროა მუშაობაში მეტი მემკვიდრეობითობაც. რესპუბლიკაში ბევრია კარგი, საინტერესო თაოსნობა, რომელთა მიმართ ყურადღება საკმაოდ შესუსტდა. ამავე დროს, ხელმძღვანელებს, რომლებიც გარდაქმნის მასშტაბურ პრობლემებზე მუშაობენ, თვალთახედვიდან არ უნდა გამორჩეთ ეს საკითხები. კი არ უნდა დავფიანტოთ, არამედ განვავითაროთ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ შეძენილი გამოცდილება.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მომსახურების სფეროს განვითარება უმნიშვნელოვანესი პარტიული საქმეა. იმაზე, თუ როგორ მოვეკიდებით მას, დიდად არის დამოკიდებული გარდაქმნისა და დაჩქარების ბედ-იღბალი. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც პასუხისმგებელია აქ არსებული პრობლემების გადაჭრისათვის.

(საქინფორმი).

ზესტაფონის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის „საქაბელის“ ქარხანაში გარკვეული მოსამზადებელი სამეშაოები შესრულდა სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურებაზე გადასასვლელად.

ჩამოვაყალიბეთ სპეციალური ეკონომიკური სამსახური, რომელსაც მეთოდიკური ხელმძღვანელობა დაეკისრა. მართალია, ამჟამად ქარხნის საწარმოო უბნებისა და სამმართველო აპარატის დიდი ნაწილი სრულ ან ნაწილობრივ სამეურნეო ანგარიშზეა, მაგრამ საჭიროა, რომ ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურე იყოს მზად სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასასვლელად.

ამიტომ ქარხნის კოლექტივი ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელობით უკვე შეუდგა ეკონომიკური მართვის სისტემის შესწავლას. საამისოდ გვაქვს გამოცდილება. 1984 წლიდან ქარხანა მუშაობს ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტის პირობებში და დამუშავებულია სამეურნეო ანგარიშის თითქმის ყველა ელემენტი. ამჟამად საწარმო ძირითადად საკუთარი სახსრების ხარჯზე მუშაობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი კაპიტალდაბანდების უმნიშვნელო ნაწილს (2,1 პროცენტი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად ერთხელ კიდევ უნდა გადაისინჯოს, თუ რა დანახარჯებით აწარმოებს კოლექტივი პროდუქციას, გამოავლინოს ყველა არსებული რეზერვი იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, შეავსოს ის სახსრები, რომლებიც აქამდე ცენტრალიზებულად გამოიყოფა, და, მეორეს, შექმნას ყველა პირობა ნორმალური მუშაობისა და სოციალური სფეროს გაუმჯობესებისათვის. ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მომავალში საწარმოს კოლექტივის მთავარი საფინანსო წყაროა გაზდება სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი, იგი წარმოიქმნება პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგებისაგან, მას გამოაკლდება მატერიალური დანახარჯები, საბიუჯეტო და ზემდგომი ორგანოებისათვის გადასარიცხი გადასახდელები, აგრეთვე ბანკის კრედიტი.

მაშასადამე, მატერიალური დანახარჯების შემცირება რჩება შემოსავლის ზრდის ერთ-ერთ ძირითად საშუალად. ჩვენ ღრმად გავაანალიზებთ მატერიალური დანახარჯების სტრუქტურა, დავსახეთ მათი შემცირების კონკრეტული გზები. უპირველესი მნიშვნელობა მივანიჭეთ მაკარ მომჭირნეობას, ძირითადი და დამხმარე მასალების ყაირათიან ხარჯვას. შემოღებულია ყველა ტექნოლოგიური დანადგარის ეკონომიის პირადი ბარათი, რომელიც საბოლოოდ ბრიგადის კოლექტიური ანგარიშის საფუძველია. მასალების მომჭირნე ხარჯისათვის შეიუშავებულია და მოქმედებს მატერიალური წახალისების დებულება, რომლის მიხედვით მუშა-მოსამსახურეებს დაზოგილი მასალების ღირებულების 50 პროცენტი ეძლევათ კონკრეტული პირადი წვლილის გათვალისწინებით.

დიდ უყურადღებას ვაქცევთ მეორეული რესურსების გამოყენებას. ამჟამად ქარხანა უნარჩენო ტექნოლოგიით მუშაობს. წლის განმავლობაში გადამუშავებული 250 ტონა საიზოლაციო მასალების ნარჩენებისაგან ვამზადებთ ფართო მოხმარების საქონელსა და საკაბელო ნაწარმს, რაც 350 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის დამატებითი გამოშვებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი. ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების ბიუჯეტში გადასახდელი ჩვენს პირობებში მოგების თითქმის ნახევარს შეადგენს.

მაშასადამე, ძირითადი ფონდების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ მიმდინარე წლის დამდეგიდან ყველა საწარმოო უბანი მუშაობს უწყვეტ ციკლზე გადავიყვანეთ. ორჯერ გაიზარდა ხელფასის დანამატები ღამის ცვლაში მუშაობისათვის. ღამის საათებში მომუშავენი უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით და ავტომობილსახურებით. მარტო ამას წლეულს 96 ათასი მანეთი მოხმარდება. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოთა ვალდებულებისათვის. სამეუჯეტო დაფინანსება, როგორც წესი, გამორიცხულია, მაგრამ ამავე დროს საწარმოებს ენიჭებათ ბანკის კრედიტი სარგებლობის ფართო უფლებები. ამ მიმართულებით უკვე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, მივიღეთ 177 ათასი მანეთი ბანკის კრედიტი. ამ სახსრებით ვაწარმოებთ 2000 კვადრატული მეტრი ფართობის სათბურის მშენებლობას, რომლის შემოსავალი ორი წლის განმავლობაში დაფარავს დაბალიანებას. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები მთელი წლის განმავლობაში იქნებიან უზრუნველყოფილი ბოსტნეულით.

ყველაფერს ვღონობთ არამწარმოებლური ხარჯების აღმოფხვრისათვის. იგი ამცირებს მატერიალური წახალისების ფონდს, სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების პირობებში ძმიმე ტვირთია. ამიტომ ქარხანაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც გულდასმით სწავლობს არამწარმოებლური (ჯარიმები ვაგონების მოცდენისათვის, ტარის დაუბრუნებლობისათვის და სხვა) ხარჯის ყველა შემთხვევას და გზას უბოჭს მათ.

სრულყოფილი ხდება მართვის სისტემა დემოკრატიული ცენტრალიზმისა და შრომითი კოლექტივის სოციალისტური თვითმართველობის ჩრდილოეთ ... [illegible] ... ერწყმის შედეგად. ... [illegible] ... შეუწყვეს ბრიგადა[illegible]ებმა, რომლებმაც თავიანთ რიგებში გააერთიანეს მუშათა 85 პროცენტი და რომელთაგანაც 73 პროცენტი კოლექტიური ჯარით შრომობს. ბრიგადა თვითონ ანაწილებს მის მიერ გამომუშავებულ მთელ ფულად სახსრებს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით, რაც აძლიერებს მუშათა დაინტერესებას. ისინი ცდილობენ საწარმოო პროგრამა შეასრულონ ნაკლები მუშახელით და მიაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს. დაგიწყეთ საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა არჩევნები. შეიქმნება შრომითი კოლექტივის საბჭო — მართვის კოლექტიური ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც საწარმოო საქმიანობის ყველა საკითხი შედის.

კოლექტივი თავდაუზოგავი შრომით ცდილობს აანაზღაუროს

სრული მზადყოფნისათვის

ნერგ. ორჯერ გაიზარდა ხელფასის დანამატები ღამის ცვლაში მუშაობისათვის. ღამის საათებში მომუშავენი უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით და ავტომობილსახურებით. მარტო ამას წლეულს 96 ათასი მანეთი მოხმარდება. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოთა ვალდებულებისათვის. სამეუჯეტო დაფინანსება, როგორც წესი, გამორიცხულია, მაგრამ ამავე დროს საწარმოებს ენიჭებათ ბანკის კრედიტი სარგებლობის ფართო უფლებები. ამ მიმართულებით უკვე გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, მივიღეთ 177 ათასი მანეთი ბანკის კრედიტი. ამ სახსრებით ვაწარმოებთ 2000 კვადრატული მეტრი ფართობის სათბურის მშენებლობას, რომლის შემოსავალი ორი წლის განმავლობაში დაფარავს დაბალიანებას. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები მთელი წლის განმავლობაში იქნებიან უზრუნველყოფილი ბოსტნეულით.

ყველაფერს ვღონობთ არამწარმოებლური ხარჯების აღმოფხვრისათვის. იგი ამცირებს მატერიალური წახალისების ფონდს, სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების პირობებში ძმიმე ტვირთია. ამიტომ ქარხანაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც გულდასმით სწავლობს არამწარმოებლური (ჯარიმები ვაგონების მოცდენისათვის, ტარის დაუბრუნებლობისათვის და სხვა) ხარჯის ყველა შემთხვევას და გზას უბოჭს მათ.

სრულყოფილი ხდება მართვის სისტემა დემოკრატიული ცენტრალიზმისა და შრომითი კოლექტივის სოციალისტური თვითმართველობის ... [illegible] ... ერწყმის შედეგად. ... [illegible] ... შეუწყვეს ბრიგადა[illegible]ებმა, რომლებმაც თავიანთ რიგებში გააერთიანეს მუშათა 85 პროცენტი და რომელთაგანაც 73 პროცენტი კოლექტიური ჯარით შრომობს. ბრიგადა თვითონ ანაწილებს მის მიერ გამომუშავებულ მთელ ფულად სახსრებს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით, რაც აძლიერებს მუშათა დაინტერესებას. ისინი ცდილობენ საწარმოო პროგრამა შეასრულონ ნაკლები მუშახელით და მიაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს. დაგიწყეთ საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა არჩევნები. შეიქმნება შრომითი კოლექტივის საბჭო — მართვის კოლექტიური ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც საწარმოო საქმიანობის ყველა საკითხი შედის.

კოლექტივი თავდაუზოგავი შრომით ცდილობს აანაზღაუროს

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი მუყაოთად შრომობს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. სოციალისტურ შეჯიბრებაში წინა პლანზეა წამოწეული წარმოების მოცულობის ზრდის, მომჭირნეობისა და, რაღა თქმა უნდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მაჩვენებლები.

შვიდი თვის გეგმის გადამეტებით საწარმოში დამზადდა 300 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზებულია გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი ნაწარმი. შრომის ნაყოფიერება შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,7 პროცენტით გაიზარდა. ინერგება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია.

 სურათზე: შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდნენ ახალგაზრდა ხარატები ზაზა ბლუაშვილი და შალვა გელენიძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ბრაქტიკული მოქმედების დრო

ნახევარი წლის ერთი შეხედვით დამაბიმედებელი შედეგები თვითდამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს, — ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებს. პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ხ. ემირძეიმ და სხვა ორატორებმა აღნიშნეს, რომ გარდაქმნის ტემპი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. მრეწველობაში ნახევარი წლის მანძილზე სამუშაო დროის დანაკარგებმა შეადგინა 1.024 კაცდღე, რესპუბლიკამ ხელიდან გაუშვა თითქმის მილიონ-ნახევარი მანეთის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა. სავალდებულო შრომითი მინიმუმი ვერ გამოიმუშავა შრომისუნარიანი სოფლის მოსახლეობის ხუთმა პროცენტმა. 300-ზე მეტ კოლმეურნეს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში.

მეჩიიებობაში გაწ

45 ბრძოლები კავკასიისათვის
ნაწილი მეოთხე

გაქსანის გმირები

უცნობი ფურცლები

ამ წერილში გვინდა მოგითხროთ ერთი მეტად საინტერესო ამბავი, რომელიც 1942 წლის ოქტომბერში მოხდა კავკასიის მისადგომებთან, მდინარე ბაქსანთან, პროხლადნის რაიონში და რომლის თაობაზეც მასალები მოგვაწოდეს თვით აქ გამართული ბრძოლების მონაწილემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა, მრავალი ორდენის კავალერმა იოსებ პეტაშვილმა და სამამულო ომის ვეტერანმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა შამშე მეგრელიძემ.

საქმე ეხება გერმანელების მიერ შექმნილი „ქართული ლეგიონის“ აჯანყებას და იმათ თავდადებას, ვიხც ფაშისტებმა სასტიკად აწამეს.

როგორც ცნობილია, ომის დასაწყისშივე, მტერმა ისარგებლა რა მოულოდნელი თავდასხმით და ტექნიკისა და ცოცხალი ძალის უპირატესობით, შეძლო დროებით დაეკავებინა საბჭოთა მიწა-წყლის ვრცელი ტერიტორია. მას ტყვედ ჩაუვარდა უამრავი დაჭრილი, კონტუზირებული თუ ალყაში მოხვედრილი საბჭოთა მეომარი, მათ შორის მრავალი ქართველი იყო.

ისევე, როგორც სხვა ეროვნებათა ტყვეებისაგან, ფაშისტებმა ქართველებისაგანაც სამხედრო ნაწილების შეკაზმწყობა იწყეს, ფიქრობდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენებინათ ისინი. ნაწილი ტყვეებისა, როგორც კი მოხერხებულ მომენტს შეაჩერედა, გარბოდა, თავს აღწევდა მტრის კლანჭებს.

ზოგმა, ვინც ვერ დააღწია თავი ტყვეობას, გადაწყვიტა, დროებით შენიღბულიყო, დათანხმდა ჩაეცვა გერმანელი ჯარისკაცის ფორმა, მიეღო იარაღი და მოხერხებულ მომენტში კვლავ ფაშისტთა წინააღმდეგ მიემართა იგი.

ქართველი ტყვეებისაგან გერმანელებმა სამი ბატალიონი შექმნეს, რომელთა ფორმირება ვარშავის მახლობლად მოხდა და მათ „ქართველთა ლეგიონები“ შეარქვეს, მეორე და მესამე ქართული ბატალიონების ბედის ამბავი ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია. ქართველთა მეორე ბატალიონმა 1942 წლის დეკემბერში ტუფფსეს რაიონში შეძლო საბჭოთა არმიის მხარეზე გადმოსვლა. მესამე ბატალიონი 1945 წლის აპრილში ტიქსლის კუნძულზე აჯანყდა ფაშისტების წინააღმდეგ, ხოლო პირველი ბატალიონის ბედზე მასალები ნაკლებად არის ცნობილი. იგი ყველაზე ადრე, 1942 წლის ოქტომბერში აღდგა მტარვალთა წინააღმდეგ და მეტად რთულ ვითარებაში ბატალიონის ნაწილმა შეძლო წითელი არმიის მხარეზე გადმოსვლა.

ცნობილი პარტიული და საზოგადო მოღვაწე კანდიდ ჩარკვიანი თავის წიგნში „განცდილი და ნაიზრევი“ მოკლედ მოგვითხრობს ამ „ლეგიონის“ ჩამოყალიბებისა და მისი ბრძოლების ამბავს, იმას, თუ როგორ ცდილობდნენ ტყვედ ჩავარდნილი ქართველები კავშირი დაემყარებინათ წითელ არმიასთან და მათი დახმარებით გაენადგურებინათ ფაშისტები.

ავტორი ასე აფასებს ტყვედ ჩავარდნილი ქართველების მოქმედებას. „ქართული ლეგიონის აჯანყება ჩვენი ხალხის უდრეკი პატრიოტული სულის კარგი გამოვლინება იყო. მისი შეფასებასა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იგი მოხდა 1942 წლის ოქტომბერში, როცა გერმანელები ბაქსანსა და თერგზე იდგნენ და საბჭოთა საქართველოს დაპყრობისა და ოკუპაციის რეალური საფრთხე ემუქრებოდა... „სწორედ მაშინ, როცა მტერი კავკასიონის მისადგომებიდან საქართველოსაკენ ნახტომისათვის ემზადებოდა, ლეგიონერებმა „განმათავისუფლებელთა“ როლს მასთან უთანასწორო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არჩიეს. ასეთი თავდადების გამოჩენა მარტო მხურვალე საბჭოთა პატრიოტებს შეეძლოთ“. (გვ. 286).

— ბატალიონის შემადგენლობაში, იგონებს იოსებ პეტაშვილი, ძირითადად სხვადასხვა ტყვეთა ბანაკებიდან შეკრებილი ახალგაზრდები გაერთიანნენ, რომლებიც ომამდე გაიწვიეს წითელ არმიაში და საბჭოთა კავშირის დასავლეთ რაიონებში მსახურობდნენ. პირველი დღეებიდანვე გამოვეცნაურეთ და თანდათან დავუახლოვდით ერთმანეთს. გაიკვა, რომ ამ გაძვალტყავებულ, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს კვლავინდებურად თავდადწყებით უყვარდათ სამშობლო, არ ასვენებდათ მტრისაგან თავის დაღწევის და მის წინააღმდეგ ბრძოლის ფიქრი, ის რომ მათი სახელი შთამომავლობისათვის სამარცხვინოდ არ დარჩენილიყო.

თანამზრახველთა ჯგუფიც თანდათანობით გამოიკვეთა, დრო აღარ ითმენდა, საჭირო იყო მოქმედება. და აი, ივნისის პირველ კვირა დღეს თავი მოვიყარეთ მოსალაპარაკებლად. ამ ჯგუფში ვიყვითი: მიხეილ მურვანიძე, (ზოგან წერენ მურმანიძეს), აკაკი კაკაბაძე, გიორგი (ჟორა) ბედიანაშვილი, სულიკო მეშველიშვილი, ნიკოლოზ ჯალაღოვი, დათიკო სულხანიშვილი, ვასილ დვალი, ნიკოლოზ კობახიძე, ვასილ წულაია, ლევან შავგულიძე. პრაქტიკულად ეს იყო ბატალიონის საიდუმლო ორგანიზაციის პირველი კრება, რომელიც მიზნად ისახავდა სათავეში ჩასდგომოდა ჰიტლერელთა წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას. ორგანიზაციას მეთაურობდა მიხეილ მურვანიძე, რომელიც წითელ არმიაში ბათუმის სამხედრო კომისარიატიდან იყო გაწვეული, დამთავრებული ჰქონდა ვიტომირის საარტილერიო სასწავლებელი. იგი იყო მეტად უშიშარი ვაჟაკაცი, სამშობლოს დიდი პატრიოტი. მოადგილედ აკაკი კაკაბაძე ავირჩიეთ, მასაც სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული — ხარკოვის საარტილერიო სასწავლებელი დამთავრა. შტაბის უფროსობა ლევან შავგულიძეს დაეკალა, ჯგუფის დანარჩენი წევრები ასეულებსა და ოცეულებში გავნაწილდით. დიდი სიფრთხილე გვმართებდა, რადგან გერმანელები არ გვენდობოდნენ და თვალყურს გვადევნებდნენ. თანაც არ იყო გამორიცხული, რომ ბატალიონში სულმდაბალი გამცემლებიც აღმოჩენილიყვნენ. ანტიფაშისტური ჯგუფის ხელმძღვანელობის მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. ბატალიონში უკვე იგრძნობოდა საბრძოლო გაწყობილება, იმისათვის მზადყოფნა, რომ მოხერხებულ მომენტში დაგვეხოცა ფაშისტები, და წითელი არმიის მხარეზე გადავსულიყავით.

1942 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ბატალიონი პოლონეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით დაიძრა. ეს ის დრო იყო, როცა ფაშისტები კავკასიას უტევდნენ. ხელთ იგდეს კრასნოდარი, არმავირი, მაიკოპი, პროხლადნი და ქ. ორჯონიკიძეს ემუქრებოდნენ. წითელმა არმიამ მტერი ბაქსანის და თერგის შესართავთან შეაჩერა. „ქართული ბატალიონიც“ აქ აღმოჩნდა. გზაში ბატალიონის გარკვეულმა ნაწილმა მოახერხა გაქცევა, მაგრამ ერთეულების გაქცევით ჩვენს დაწყებულ საქმეს ბოლომდე ვერ მივიყვანდით. ამიტომაც ხელმძღვანელმა ჯგუფმა გადაწყვიტა: დაკავშირებოდნენ პარტიზანებს და მახლობელ სოფლებში იწყეს გასვლა, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ ვასილ წულაიამ და აკაკი კაკაბაძემ მიაკვლიეს ნატალია კრავჩენკოს, ოჯახს. ნატალიას ჰყავდა 18 წლის ქალიშვილი ოლგა, რომელიც კომკავშირელი იყო, და მასზე უმცროსი და-ძმა. აქ ვასილმა და აკაკიმ რამდენიმე დღე დაჰყვეს, პარტიზანებს ვერ დაუკავშირდნენ, მაგრამ ოჯახის წევრებს დაუახლოვდნენ და საჭირო შემთხვევაში საიმედო კერად მიიჩნიეს.

1942 წლის 5 ოქტომბერს „ქართველთა ბატალიონი“ სოფელ ნოვომოლოტავსკაიასთან, მდინარე ბაქსანის მარცხენა მხარეს, უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე განლაგდა. მოპირდაპირე მხარეს წითელი არმიის ნაწილები იდგა. გადაწყდა, დაუყოვნებლივ დაკავშირებოდნენ საბჭოთა სარდლობას, აჯანყებულიყვნენ და წითელი არმიის მხარეზე გადასულიყვნენ. 8 ოქტომბერს მოსალაპარაკებლად გაიგზავნა ვასილ წულაია, გიორგი ბედიანაშვილი და აკაკი კაკაბაძე. მათ მოახერხეს ჩვენებთან მოხვედრა, მეკავშირეებმა საბჭოთა სარდლობას გააცნეს ბატალიონის შექმნის ისტორია. მისი განზრახვა აჯანყებისა და წითელი არმიის მხარეზე გადასვლის შესახებ, მიაწოდეს საჭირო ცნობები გერმანელებზე.

9 ოქტომბერს მოლაპარაკებისა და სათანადო ინსტრუქციის მიღების შემდეგ ვასილ წულაია და გიორგი ბედიანაშვილი უკან დაბრუნდნენ. აკაკი კი იქ დარჩა. ყველანი მოუთმენლად ველოდით მათ დაბრუნებას. ამხანაგებმა ყველაფერი დაწვრილებით გვიამბეს და გვითხრეს, რომ ბატალიონის აჯანყება 10 ოქტომბერს დილით უნდა დავიწყოთო. უნდა დაგვეხოცა გერმანელი მეთაურები და წითელი არმიის ნაწილებისათვის წითელი რაკეტებით შეგვეტყობინებინა, რომ მზად ვიყავით მათ მხარეზე გადასასვლელად.

მიხეილ მურვანიძემ დაწვრილებით შეიმუშავა აჯანყების გეგმა. მაგრამ არც მტერს ეძინა. 9 ოქტომბერს იგი ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა მოტყუებით შტაბში წაიყვანა. ჩვენს ერთ ამხანაგს ლეო შავგულიძეს ეს ამბავი საეჭვოდ ეჩვენა და მალულად მათ უკან გაჰყვა. იქ კი მურვანიძე სასწრაფოდ მანქანაში ჩასვეს და ზურგის მიმართულებით წაიყვანეს, თან გერმანელებმა ტანკებითა და ნაღმსატყორცნებით ბატალიონის გარშემორტყმა დაიწყეს, ლეო შავგულიძემ ეს ამბავი ჯგუფის წევრებს სასწრაფოდ გვაცნობა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, უნდა გვემოქმედა. ამასობაში ღამეც კიდეც. ეს მოქმედებას გვიადვილებდა, დავიწყეთ ბრძოლა. მოვუწოდებდით ბატალიონის წევრებს, შური ეძიათ გერმანელ ფაშისტებზე, სანგრებში გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ორივე მხარეს დიდი იყო მსხვერპლი, და თუ აჯანყებულთა ნაწილი მაინც გადარჩა, მათ ადგილმდებარეობის რთულმა რელიეფმა უშველა.

10 ოქტომბერს გამთენიისას ვასო წულაიამ ისროლა ორი რაკეტა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ აჯანყებულები წითელი არმიის მხარეზე გადადიოდნენ და დახმარებას ითხოვდნენ, გერმანელები გაიფორებით გვიტევდნენ. ჩვენ ბრძოლით მივიწევდით მდინარე ბაქსანისაკენ და დიდი წვალებით მოვახერხეთ უკვე ცივი მთის მდინარის გადალახვა, მტერი სტეპუვასავით გვაყრიდა ტყვიებს. ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა სამუდამო სამარე მდინარის ცივ ტალღებში პოვა. როგორც იყო შევუერთდით წითელი არმიის ნაწილებს. სულ გადმოსვლა შეძლო 26 კაცმა. ვინც მდინარე ვერ გადმოლახა, გაქცევით უშველა თავს. ბევრი კი დაიღუპა. გადარჩენილები მეგობრულად მიგვიღეს. დასვენებისა და ფორმის შეცვლის შემდეგ თბილისშიც ჩამოგვიყვანეს. გვიჩვენეს კინოფილმი „გიორგი საააკაძე“, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ეკრანზე გამოსული. ჩვენი ამხანაგებიდან ნ. კობახიძე და ა. კაკაბაძე შეხვედნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს. ამ შეხვედრის შესახებ კიდევაც წერს კ. ჩარკვიანი თავის წიგნში „განცდილი და ნაიზრევი“ (გვ. 284).

ნოემბრის შუა რიცხვებში, რიბინენბინათ, თუ რამე იცოდნენ ომის დროს იქ ჩამობრჩობილი ქართველი მზვერავების შესახებ. მივიღე კიდეც იმ ამბების უშუალო მონაწილის პოლინა კრავჩენკოს წერილი. იგი გვატყობინებდა: „1942 წლის 24 დეკემბერს დილით ჩვენს სახლთან გაჩერდა ორი მანქანა. იქიდან გადმოვიდნენ შეიარაღებული გერმანელი ჯარისკაცები, ალყა შემოარტყეს ჩვენს სახლს და ძალლებით დაუწყეს ძებნა საბჭოთა მზვერავებს, რომლებსაც ჰიბნელეში მიაკვლიეს. მე და ჩემი ძმა მაშინ პატარები ვიყავით, შეშინებულებმა მეზობლებს შევაფარეთ თავი და იქიდან ვუყურებდით, როგორ წაიყვანეს ნალჩიკისაკენ დედაჩემი, ჩემი უფროსი და ოლგა და ის ორი მზვერავი. შემდგომ, როგორც შევიტყვეთ, ისინი ყველანი ფაშისტებმა აწამეს და ჩამოხჩრეს....“

შევიტყვეთ აგრეთვე ლეგიონერთა იმ ნაწილის ბედიც, რომელმაც ვერ შეძლო წითელი არმიის მხარეზე გადმოსვლა. ფაშისტებმა ისინი წინა ხაზიდან გაიყვანეს, განაიარაღეს და გაძლიერებული დაცვის ქვეშ სოფელ კრუპსკოულიანოვსკის სამხრეთით. ღელეში ჩაყარეს. მტერი შიმშილითა და წამებით დატანჯული ქართველებისაგან მოითხოვდა გაეცათ აჯანყების ხელმძღვანელები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დახვრეტით ემუქრებოდნენ. მაგრამ პასუხად იღებდნენ: მეთაურები და აჯანყების მონაწილენი წითელი არმიის მხარეზე იბრძვიანო. ერთი თვის შემდეგ ღელესთან ფაშისტებმა წინასწარ გათხრილ ორმოსთან ნაწამები მიხეილ მურვანიძე დააყენეს და უკანასკნელად მოსთხოვეს შეთქმულთა დასახელება. მურვანიძემ ფეხი გაკარა ფაშისტების მიწოდებულ საჭმელს და ავტომატის გასროლამდე შესძახა: „ვკვდები სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, ამ ტრაგედიის მოწამეთაგან დღეს ცოცხალი არიან ალექსანდრე ქურდაძე, ვახტანგ ხუროშვილი, ვახტანგ ცუცქირიძე და სხვები. საკმარისი იყო მურვანიძეს მეგობრები გაეცა, რომ ყველას იქვე დახოცავდნენ.

...როცა საბჭოთა ჯარებმა სტალინგრადთან და კავკასიის ფრონტზე სასტიკად დაამარცხეს ჰიტლერელები და წინ წაიწიეს, ჩვენი პატარა ქვეგანაყოფი დაშალეს და ყველანი სხვადასხვა ნაწილში გაგზავნეს. მე, როგორც სამედიცინო დარგის მუშაკი, ერთ-ერთი დივიზიის სამედიცინო ბატალიონში ვმსახურობდი.

ჩვენი ბატალიონის ბევრმა ყოფილმა მებრძოლმა — გიორგი ბედიანაშვილმა, სულიკო მეშველიშვილმა, აკაკი კაკაბაძემ, დავით სულხანიშვილმა, ლევან შავგულიძემ, ნიკოლოზ კობახიძემ, ვასილ დვალმა, ნიკოლოზ ჯალაღომა და სხვებმა ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და მრავალი ორდენითა და მედლით მკერდდამშვენებული დაუბრუნდნენ სამშობლოს, ზოგიერთი მათგანი უკვე ცოცხალიც აღარ არის.

...1986 წლის ივნისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს ეწვია ი. პეტაშვილი. იგი შეხვდა სამამულო ომის ვეტერანს, განყოფილების გამგეს შამშე მეგრელიძეს, მოუთხრო მას ბაქსანის გმირთა ამბავი და სხოვა დახმარება ჯერ კიდევ ბურუსით მოცული ზოგიერთი საკითხის გარკვევაში.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპედიცია პროხლადნის რაიონს ეწვია. აქ მისმა წევრებმა შეიტყვეს, რომ ქართველი პარტიზანების დახმარების გამო დახვრეტილი ოლია კრავჩენკოს სახელს ატარებს სოფლის ცენტრალური ქუჩა. ექსპედიციის წევრები ჩავიდნენ იმ სოფელში, სადაც მამაცი ქართველი მზვერავები სარდლობის მიერ მიცემულ განსაკუთრებულ დავალებას ასრულებდნენ, სოფლის მცხოვრებლები გულთბილად შეხვდნენ საქართველოდან ჩასულებს. უკვე ხანდაზმული ადამიანები იხსენებდნენ ომისდროინდელ ამბებს.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო სოფელ კრუპსკო-ულიანოვსკოეს (ამჟამად პსიშკო) მახლობლად იმ ადგილების ხილვა, სადაც ფაშისტებმა ქართველი პატრიოტები დახვრიტეს. შ. მეგრელიძე იგონებს: „მანქანიდან ჩამოსვლისას ტრაგედიის მოწმე მეგობრებმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს. უცებ შეჩერდნენ და დიდხანს გოგნებულნი იდგნენ. ვცდილობდი მაუდრობა არ დამერღვია. ყველამ დავიჩოქეთ, ერთი წუთით პატივი ვეცით გმირულად დაღუპულ თანამემამულეებს...“

ძვირფასო მეგობრებო, ვინც იმ ქარცეცხლიან დღეებს გადაურჩით, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვეხმაურეთ, დაგვეხმარეთ ამაში, რომ სრულად მოვფინოთ ნათელი ბაქსანის ბრძოლების ისტორიას, აგრეთვე უკვდავყოთ იმათი სახელები, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ არაფერი იცი ჩვენში.

ლარისა ხუბულური.

მ. მ. დანელია

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე მილიტონ (გუგული) მიხეილის ძე დანელია. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან მოანდომა პარტიის საქმეს, ხალხის ინტერესებს.

მ. მ. დანელია დაიბადა 1921 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ მარტვილში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს მასწავლებლად ჯერ სოფელ აბაშაში, შემდეგ ქალაქ თბილისის საშუალო სკოლებში. 1944 წელს ამტკიცებენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, სამი წლის შემდეგ კი ირჩევენ კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად.

1950 წელს მ. მ. დანელია გადადის პარტიულ საშუშაოზე — ირჩევენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომის მდივნად, 1953 წელს ამტკიცებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების ინსტრუქტორად. 1955 წელს გაგზავნილ შინაგან საქმეთა ორგანოებში და ნიშნავენ ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსად, შემდეგი წლიდან ირჩევენ პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნად. 1958 წელს მ. მ. დანელია სახელმძღვანელად გაგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

სწავლის დამთავრების შემდეგ 1960 წელს მას ირჩევენ თბილისის მეზრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ორი წლის შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც ათ წელზე მეტ ხანს იმუშავა.

1973 წელს მ. მ. დანელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრია, 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე.

კომუნისტური პარტიის წინაშე დამსახურებისათვის მ. მ. დანელია დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და ხალხთა მეგობრობის ორდენებით, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით; იგი არაერთხელ ყოფილა არჩეული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

პარტიული მუშაობის მთელ თავის უდიდეს გამოცდილებასა და ცოდნას მ. მ. დანელია უნაარებდა ამხანაგებს, აბალგაზრდა მუშაკებს. მელიტონ მიხეილის ძე დანელიას ახასიათებდა გულთბილობა და გულითადობა გარშემო მყოფთა მიმართ, დიდი სულიერი სიმდიდრე. ამასთან იგი იყო დიდი პასუხისმგებლობის ადამიანი, პრინციპული კომუნისტი, პარტიის გეზის აქტიური გამტარებელი.

ამ თვისებებმა მას დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუხვეჭა არა მარტო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკთა, არამედ რესპუბლიკის მთელ პარტიულ აქტივს შორის.

მ. მ. დანელიას — პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის, გულისხმიერი და თავდადებული ამხანაგის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. ბ. ბილაშვილი, ო. ე. ჩერაძეხია, ბ. ვ. ნიკოლსაძე, ბ. ა. ანჩაბაძე, ა. ნ. ბლუაჯიძე, ბ. ნ. ენუქიძე, ნ. ა. ჭითანავა, ვ. ი. ალავიძე, ბ. ბ. ბუშბარიძე, შ. ვ. უაბარაშვილი, ა. ი. აზიროვი, ნ. ა. ძვანია, ზ. ა. მახარაძე, მ. ა. მეგრელიშვილი, რ. ნ. ნაბუეიანა.

საკლესიო ცნობა

2 აგვისტოს მოსკოვის დროით 5 საათსა და 00 წუთზე საბჭოთა კავშირში სემიპალატინსკის რაიონის პოლიგონზე მოხდა 20-დან 150 კილოტონამდე სიმძლავრის მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.

2 აგვისტოს 6 საათსა და 00 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში ახალი მიწის კუნძულების რაიონში განხორციელდა 20-დან 150 კილოტონამდე სიმძლავრის მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.

აღნიშნული აფეთქებები განხორციელდა სამხედრო ტექნიკის სრულყოფის მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი ათი შვილის მშობელ და აღმზრდელ დედებს:

აფხაზეთის სსს რესპუბლიკაში

მაშო ტერენტის ასულ **უმპრიანს** — მუშას, გულრიფშის რაიონი.

აჭარის სსს რესპუბლიკაში

ეთერ რეჯების ასულ **მიქელაძეს** — კოლმეურნეს, შუახევის რაიონი.

უმიან კაზიმის ასულ **სალაძეს** — კოლმეურნეს, ქედის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი, 1987 წლის 16 ივლისი.

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

შეაჯამეს ნახევარი წლის შედეგები

თუმცა რესპუბლიკაში გასული ნახევარი წლის მანძილზე ძარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა კიდეც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი და დაზარალებულთა რაოდენობამაც იკლო, ქმაშფოთებელი ტენდენციები, რომლებმაც ზოგიერთი სხვა პოზიციის მიხედვით იჩინა თავი, თვითდამშვიდების საბაბს არ გვაძლევს. ეს თქვეს უსაფრთხო საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფის და ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური კომისიისა და სამუშაო ჯგუფის გაერთიანებული სხდომის მონაწილეებმა.

კერძოდ, შემაშფოთებელია სიტუაცია, რომელიც შეიქმნა რკინიგზის გადასასვლელებზე მიუხედავად იმისა, რომ დიდი მუშაობა წარმოებს ავტომატური შუქნიშნის სიგნალიზაციით მათი აღჭურვისა და ნაკლებმოქმედი გადასასვლელების დახურვისათვის, მძღოლები მაინც მასობრივად არღვევენ წესებს. საკმაო „წვლილი“ შეაქვთ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში ქვეითად მოსიარულეებსაც. მათი მიზეზით მოხდა ათობით დაჯახება. ასეთი მდგომარეობის მიზეზია რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებში, საავტომობილო მეურნეობებში სუსტი პროფილაქტიკური მუშაობა. ცნობილია, მაგალითად, რომ პატარა საავტომობილო მეურნეობებში ჩვეულებრივ სუსტია საწარმოო დისციპლინა. მაგრამ მათი გამსჭვალების საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. რესპუბლიკაში რეგისტრირებულია დაახლოებით 7.500 ცალი საავტომობილო მეურნეობა, ანუ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა საერთო რიცხვის 86 პროცენტი. წლის დამლევამდე უნდა გაუქმდეს 1.300 ასეთი ქვეგანაყოფი, რაც დაგვაზოგვინებს მატერიალურ და ადამიანის რესურსებს, განგვამტკიცებინებს დისციპლინას ტრანსპორტზე.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევ ძირითად მიზეზთა შორის ერთ-ერთია გზების ცუდი მდგომარეობა. წლევანდელ ძნელ ზამთარში ჩამოწოლილმა ზვავებმა და ღვარცოფებმა საგზაო მეურნეობას 100 მილიონ მანეთისაზე მეტი ზარალი მიაყენეს. ამიტომ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ძირითადი ყურადღება მიეპყრო სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში ნახევარი წლის მანძილზე შემცირდა ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმი. ამით ჩანს საქართველოს განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების განყოფილებების, ინსპექციების გარკვეული მუშაობა. მაგრამ საერთოდ ჯერ კიდევ საკმარისად აქტიურად არ წარმოებს სკოლებში ტრავმატიზმის თავიდან აცილებისათვის პროფილაქტიკური საქმიანობა. მაგალითად, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებელ სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათათვის სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამა არ დაგზავნა ყველა სასწავლებელს, ადგილებზე მისი შესრულება სათანადოდ არ არის ორგანიზებული.

სხდომაზე დასახეს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვემდგომი კომისიების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების შესაბამისი სამსახურების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. (**საქინფორმი**).

საკლესიო იუწყება

ფაქტები • მოვლენები

◆ ირანი

მხარს უჭერენ საბჭოთა წინადადებებს

დამასკო. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჰოსეინ შეიხოლესლამმა აღნიშნა, რომ ერთმანეთს ემთხვევა ირანისა და საბჭოთა კავშირის პოზიციები სპარსეთის ყურიდან ყველა იმ სახელმწიფოს სამხედრო ხომალდების გაყვანის შესახებ, რომლებიც ამ რაიონს არ ეკუთვნიან. ირანის დამასკოს საელჩოში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუ ამერიკის შეერთებული შტატები დაეთანხმება სპარსეთის ყურის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის განცხადებაში ჩამოყალიბებულ საბჭოთა წინადადებებს, ეს იქნება პოზიტიური ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას ამ რაიონში. როგორც ირანის წარმომადგენელმა თქვა, ჩასაფუშავად განწირულია ამერიკის შეერთებული შტატების ცდები, ყურეში სამხედრო ყოფნის ზრდის გზით გადაეჭრას წარმოქმნილი კრიზისი. ასევე ჩასაფუშავად განწირულია შეიარაღებული ჩარევა ტანკერების პატრულირების ნიღბით, რომელსაც ვაშინგტონი ამზადებს.

ქოფილი ლტოლვილის განცხადება

ქაბული. 62 ათასზე მეტი ლტოლვილი დაბრუნდა ავღანეთში ეროვნული შერიგების კურსის გამოცხადების შემდეგ. მაგრამ ბევრი ავღანელი მოქალაქე, რომლებმაც მტრული პროპაგანდის ზეგავლენით მიატოვეს სამშობლო, კვლავინდებურად ცხოვრობენ პაკისტანსა და ირანში.

იმას, თუ რა ტანჯვა-წვალებას განიცდიან უცხოეთში გადახვეწილი ავღანელები, მოწმობს ყოფილი ლტოლვილის მოჰამად ნასირის, ბორის პროვინციის მკვიდრის ნაამბობი, რომელიც რვა წლის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდა.

როცა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა დავტოვე და პაკისტანში ჩავედი, თქვა მან, შევედი ორგანიზაცია „ჯამიატე ისლამიე ავღანისტანში“, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ გამოვედი ამ ორგანიზაციიდან, რადგან მივხვდი, რომ ბანდიტთა რაზმების მეთაურები მხოლოდ საკუთარი გამდიდრებისათვის ზრუნავენ. რამდენიმე თვის შემდეგ ირანში აღმოვჩნდი, სადაც დამაპატიმრეს „ისლამური რევოლუციის გუშაგებმა“ და ყოველგვარი ბრალდების წამოუყენებლად სატყორნილეში ჩამსვეს. ჩემთან ერთად დილეგში იყო რამდენიმე ათეული უდანაშაულო ავღანელი. გარკვეული თანხა რომ გადაუხადე ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლებს, საპატიმროდან გამათავისუფლეს და მეშჩედში გადასვლის შესაძლებლობა მომეცა. მაგრამ პირველ დღესვე ჟანდარმებმა დამაპატიმრეს და საპყრობილეში ჩამსვეს. ახლაც „გამოსასყიდი“ დამჭირდა, ამჯერად ირან-ავღანეთის საზღვრამდე მისაღწევად. მივეცი მთელი ნაღდი ფული, მაჯის საათი. გავყიდე ტანსაცმელი, ოღონდ სამშობლოში დავბრუნებულიყავი, თქვა მოჰამედ ნასირმა. მადლობას ვუხდი ავღანეთის ხელისუფლებს. მაპატიეს, მომცეს ბინა და იმის შესაძლებლობა, რომ მივიღო განათლება.

◆ პაკისტანი

არმაკოსტის ვიზიტი

ისლამაბადი. აქ ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში ჰ. არმაკოსტმა გამართა მოლაპარაკება პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან აბდუს სატართან. იგი აგრეთვე შეხვდა პრემიერ-მინისტრს მ. ჯ. ჯუნეჯოს, საგარეო საქმეთა მინისტრს ს. იაკუბ ხანს, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ზაინ ნურანის.

როგორც პრესა იუწყება, მოლაპარაკებაზე ძირითადი ყურადღება დაეთმო პაკისტანისათვის სამხედრო-ეკონომიკური დახმარების შესახებ შეთანხმების რეალიზაციას. ამავე დროს პაკისტანის მხარემ კვლავ დაადასტურა, რომ აპირებს განაგრძოს კვლევა ბირთვულ დარგში და უარყო ბრალდება, თითქოს ქმნიდეს ბირთვულ იარაღს და ცდილობდეს უკანონოდ შეიძინოს ამისათვის საჭირო კომპონენტები და მასალები საზღვარგარეთ, კერძოდ, შეერ

მეცნიერი, მოღვაწე

პროფესორი ზაზა კახიანი 60 წლისაა



თბილისში ცხოვრობს და იღვწის ერთი ინტელიგენტი კაცი — ცნობილი დასტაქარი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. უჩვეულოდ გულთბილი, დიდი კულტურითა და ადამიანური გულისხმიერებით გამორჩეული — პროფესორი ზაზა კახიანი, რომელსაც ახლახან 60 წელი შეუსრულდა.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ზ. კახიანი ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ასპირანტია, სადაც აკადემიკოს კ. ერისთავის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1955 წლიდან დღემდე იგი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში მოღვაწეობს. ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე — ლოგიკის ფუძემდებელი, აკადემიკოსი ლეონ მანუსის ძე შაბადი აანალიზებდა რა მისი შრომების ციკლს, წერდა: „პროფესორ ზ. კახიანის შრომები ანატომიისა და მორფოლოგიაში, აგრეთვე ონკოლოგიისა და ონკომორფოლოგიაში დიდ ყურადღებას იმსახურებს“.

იგი ავტორია მრავალი შრომისა, რომლებიც ეხება მუცლის ღრუს ორგანოების პათოლოგიას. ყურადღებას იმსახურებს შრომები ქირურგიაში ბიოფიზიკის მეთოდების გამოყენებაზე.

მას საინტერესო მონაცემები აქვს წარმოდგენილი მწვავე სხივური დაავადების პათომორფოლოგიაში, ერთ-ერთმა პირველმა შექმნა სხივური დაავადების პათომორფოლოგიური ცვლილებების ატლასი. მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა საბჭოთა ქირურგებმა, აკადემიკოსებმა ა. ა. ვიშნევსკიმ და ვ. ბუნაკოვსკიმ მის საღოქტორო დისერტაციას, რომელიც ეხებოდა „პორტული ჰიპერტენზიის ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკისა და მკურნალობის ზოგიერთ საკითხებს“. ეს შრომა მონოგრაფიის სახით გამოიცა რუსულ ენაზე, რაც მოწმობს მედიკოსთა ფართო წრისათვის მთელი კავშირის მასშტაბით.

უნდა ითქვას, რომ მისი მეცნიერული ინტერესების წრე საკმაოდ ფართოა, იგი 200-მდე შრომის, მათ შორის 23 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. თავისი მასწავლებლების ნათელ ხსოვნას უძღვნა მონოგრაფიები: „დ. პ. შოთაძე“, „ი. გ. გიგოლოვი“, „ა. ვ. ჯორბენაძე“.

სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლის გაგრძელებას სამხატვრო აკადემიაში აპირებდა, მაგრამ ოჯახურმა ტრადიციამ თავისი ქნა ისე ხომ გამოჩენილი ქირურგისა და ანატომის, საქართველოში მეცნიერული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ ნიკოლოზ კახიანის ვაჟია). მზატვრობის სიყვარული დღემდე გამოჰყვა და მისი ფერწერული ტილოები სპეციალისტთა უყურადღებასაც კი იქცევს, თუმცა ეს ცალკე საუბრის საგანია.

ანატომიის, მხატვრობის, ფსიქოლოგიის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის საფუძვლიანმა ცოდნამ განაპირობა მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების შექმნა: „პლასტიკური ანატომია“, „ადამიანის სახის ექსპრესიულობა“ „ბიმოკა“, „ბავშვის მიმიკა“, და, ბოლოს, „ადამიანის ემოციების ექსპრესიულობა“, სადაც გაშუქებულია გამომეტყველების მოძრაობის ფსიქოფიზიოლოგიური და ანატომიური საფუძვლები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სხვადასხვანაირ ემოციურ მდგომარეობებთან. ეს შრომათა მთელი ციკლი, რომელიც შექმნილია მის ძმასთან, ცნობილ ანატომთან პროფესორ საულ კახიანთან ერთად, განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, და შემთხვევითი არ არის, რომ მთ ამ ციკლისათვის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

ზაზა კახიანი თავის თანამშრომლებთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. მათ დახელოვნების ხაზით 1800 ექიმი მოამზადეს საბჭოთა კავშრის სხვადასხვა კუთხიდან. ზ. კახიანის ლექციები ემყარება პირად გამოცდილებას, დაბეჭდილ პროფესიონალიზმს, ჩინებულ მეხსიერებას, ანატომიის ფუნდამენტურ ცოდნას, დიდ ზოგად კულტურასა და მჭევრმეტყველებას. სწორედ ამან და ფრანგული ენის ცოდნამ განაპირობა წარმატებული ლექციები საფრანგეთში ბოვანსაა და ეჟე დე ლა რიუს კლინიკებში, აგრეთვე აშშ და კანადაში.

ოცდათორმეტი წელია ზ. კახიანი იღვწის თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. იგი იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი და ქირურგიული ფაკულტეტის დეკანი. ერთი დღითაც არ გაუწყვეტია კავშირი ინსტიტუტთან, როდესაც მას რამდენიმე წლის განმავლობაში რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, შემდეგ კი მინისტრის მოადგილის და მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტები ეჭირა.

დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის გამოცემის პირველი დღიდან იგი რედაქტორობს „ანდომინური ქირურგიის“ სარედაქციო განყოფილებას. არჩეულია ქირურგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრად. ათ წელზე მეტია თავმჯდომარეობს საქართველოს სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების პრეზიდიუმს და თბილისის აკადემიკოს დ. გ. მუზაძის სახელობის ქირურგთა საზოგადოებას. მრავალი სამეცნიერო საბჭოს და საზოგადოების წევრი ზ. კახიანი სამჯერ ხელმძღვანელობდა საქართველო-უნგრეთის სიმპოზიუმს, აგრეთვე სემინარებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხაზით. ჯეროვნად დაფასდა მისი შრომა — იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცული 12 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია.

კეთილგანწყობილება და გულთბილი დამოკიდებულება გაჭირვებული ადამიანის მიმართ ზ. კახიანს მზრუნველ, ყურადღებიან, გულისხმიერ მედიკოსად ხდის.

დაე, თავისი დიდი ნიჭიერება და გონიერება კვლავაც დიდხანს დაეხარჯოს ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში.

ს. ხეჩინაშვილი,
თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი;

პ. შოთაძე,
თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროორექტორი სასწავლო დარგში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისელ მსროლელთა წარმატება

ფინეთის ქალაქ ლახტიში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს საქართველოს მსროლელებმა. თავდაპირველად უნდა დავასახელოთ თბილისელი 18 წლის **ნინო სალუქვაძე,** რომელმაც აქ იუნიორთა შორის მოიპოვა ოქროს მედალი. იგი უძლიერესი ქყო სტანდარტული პისტოლეტის სროლაში (30+30 გასროლა). გამარჯვებულის ტიტლში აღმოჩნდა 589 ქულა, რაც იმის მაუწყებელიც იყო, რომ მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. გარდა ამისა, ნინო ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაშიც ოქროს მედალს დაეუფლა. ნინო სალუქვაძე წლევანდელ სეზონში მართლაც სტაბილურად გამოდის. მან ხომ არცთუ დიდი ხნის წინათ მოსკოვში იასპარეზა საუცხოოდ და ზედიზედ რამდენიმე წარმატება მოიპოვა.

მრგვალ სტენდზე სროლაში კი (გუნდურ ჩათვლაში) სსრ კავშირის ნაკრებმა მოიპოვა პირველობა. სხვებთან ერთად ნაკრების ღირსებას იცავდა სქვეენინო სალუქვაძისა, ოთარ მაზ იმნაიშვილისა და ანდრია დოლბარეკვის ოქროს მედლები

▼▼

ყნოდ აღიარებული მსროლელი, თბილისელი **თამაზ იმნაიშვილი.** მანვე პირად ჩათვლაში დანარჩენ ორ მონაწილესთან ერთად (ჰოლანდიელი ვან იპერენი და ბაქოელი ვალერი ტიმოხინი) ქულათა თანაბარი რაოდენობა (222-222) დააგროვა და მათთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილა. ოლონდ ეს არის, ფინალური სერიის შედეგების მიხედვით მას საბოლოოდ მეოთხე ადგილი მიეკუთვნა. 223 ქულით უძლიერესი იყო ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე ჩერკასოვი.

იუნიორთა შორის დიდკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში (30+30 გასროლა) საბჭოთა ნაკრებმა გუნდური შეჯიბრება მოიგო. ჩვენი ნაკრების წევრი, თბილისელი ანდრია დოლბარეკვი გუნდურ ოქროს მედალთან ერთად პირად ჩათვლაში ბრინჯაოს მედალსაც დაეუფლა.

ასპარეზობათა დღიური

ბრძოლება სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობაში. ამჟამად თბილისში გამოდიან ხელბურთელები, კალთბურთელები, ჩოგბურთელები და წყალბსტომელები, ქუთაისში — მოფარიკავენი, სოხუმში — მსროლელები, თელავში — ბადმინტონისტები.

მანამდე კი თბილისში დამთავრდა ფეხბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც პირველ ადგილს დაეუფლა საქართველოს ნაკრები. ჩვენმა ფეხბურთელებმა ფინალში დაამარცხეს უკრაინის კოლექტივი ანგარიშით 2:1. მესამე ადგილისათვის მატჩში იმარჯვეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოუგეს სამხრეთის ზონის ნორჩ ფეხბურთელებს — 4:1.

სამტრედიაში დამთავრებულ მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში პირველი ადგილები როგორც გოგოთათა, ისე ჭაბუკთა შორის, მოიპოვეს პროფკავშირების პირველმა ნაკრებმა გუნდებმა. ჩვენი ჭაბუკები მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ, გოგონები კი ფინალურ ეჭვსეულშიც ვერ მოხვდნენ.

ჭადრაკის დაფებთან

ბრძოლება მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირები.

სმედერევკა-პალანკაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირის მეცამეტე ტურში ნონა გაფრინდაშვილმა დაამარცხა ბრაზილელი ელარა ჩავესი, მეთოთხმეტეში კი დაუზავდა უნგრელ ილდიკო მადლს. შეჯიბრების ბოლო, მეთხუთმეტე ტურის წინ ჩეზოსლოვაკიელ ელიშკა კლიმოვას 10,5 ქულა აქვს, ნონა გაფრინდაშვილს და მარტა ლიტინსკაიას — 10-10 ქულა, ზოია ლელეიკს — 9,5, ირინე ლევიტინას — 9 და 1 გადადებული პარტია, ნინო იზარაილოვს (აშშ) — 9, ილდიკო მადლს და ალისა მარიჩს (იუგოსლავია) — 8,5-8,5 ქულა.

ტუზლაში მოასპარეზე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო შეჯიბრების მეთორმეტე ტურში ნანა ფოსელიანი დაუზავდა ლიდია სემიონოვას, მეცამეტეში კი ესპანელი ტერეზა კანელა დაამარცხა. ქეთევან არახამიამ მოუგო შეხვედრა გულნარა სახატოვას, მაგრამ მომდევნო მეცამეტე ტურში დამარცხდა სემიონოვასთან. შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტურით ადრე იოსელიანს 10,5 ქულა აქვს და ავლავ ერთპიროვნული ლიდერია. მომდევნო ადგილებზე არიან სემიონოვა და აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი) — 9,5-9,5, არახამია — 9 და ა. შ.

უნგრეთის ქალაქ სირაკში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო შეჯიბრების ბუთორმეტე ტურის შემდეგ ჯონ ნანს (დიდი ბრიტანეთი) და იოჰან ჰიარტარსონს (ისლანდია) 9-9 ქულა აქვთ, ვალერი სალოვს და ალექსანდრე ბელიავსკის — 8,5-8,5, ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) — 8 ქულა. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 5 ტური.

ამასობაში იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში დაიწყო ვაჟთა კიდევ ერთი საზონათშორისო ტურნირი. პირველ ტურში ივან ელვესტმა (სსრ კავშირი) დაამარცხა კრუნოსლავ ხულაკი (იუგოსლავია), ლევ პოლუგაევსკი და ვიჩესლავ ეინგორნი (ორივე — სსრ კავშირი) კი თავიანთ მეტოქეებს დაუზავდნენ. მეორე ტურში ეინგორნმა მოუგო ფლეტჩერ ბარაგარას (კანადა), ელვესტი დაუზავდა ხესუს ნოგეიროსს (კუბა), პოლუგაევსკი — ხულაკს. ორი ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულა აქვთ ელვესტს, ეინგორნს, ნოგეიროსს და იოანეფ პინტერს (უნგრეთი).

ფეხბურთის ამბები

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების — ლანჩხუთის „გურიისა“ და კიევის „დინამოს“ გამოტოვებული მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 24-ე ტურის მატჩები ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივებმა შინ გამართეს: ქუთაისის „ტორპედო“ დამარცხდა ტიუმენის „გეოლოგთან“ — 0:1, ბათუმის „დინამომ“ კი მოუგო შეხვედრა კუიბიშევის „ტრილისა სოვეტოვს“ — 2:0. ოცდაოთხი ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულში არიან ოდესის „ჩერნომორეცი“ — 38 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 32 და რიგის „დაუგავა“ — 30. ბათუმის „დინამო“ 20 ქულით მეთხუთმეტე ადგილზეა. ქუთაისის „ტორპედო“ 18 ქულა აქვს და ამჟამად მეცხრამეტე ადგილზეა.

გთავაზობთ საკავშირო თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: **პირველი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა.** ვილნიუსის „ყალგირისი“-ფერგანის „ნეფტჩანიკი“ — 8:3; **პირველი მერვედფინალური შეხვედრა.** დონეცკის „შახტიორი“-მოსკოვის „სპარტაკი“ — 0:1. დანარჩენი მერვედფინალური მატჩები გაიმართება 4 აგვისტოს, ხოლო „ნეფტჩანიკისა“ და „ყალგირისის“ განმეორებით მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა მოეწყობა 6 აგვისტოს.

მოკლედ

რუგბი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ბოლო ტურის წინა მატჩები ასე დამთავრდა: ალმაათის „სკა-ჭუთასისის „მშენებელი“ — 22:15, თბილისის „ელმავალი“-კიევის „ავიატორი“ — 10:22, თბილისის „შევარდენი“-ტირასპოლის „ელექტრომაში“ — 6:10, სამხეთრო-საზღვაო აკადემიის გუნდი-მოსკოვის „ფილი“ — 13:13, ლენინგრადის „პრიმორეცი“-მოსკოვის „სლავა“ — 3:13, კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაკსტროო“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 6:0. ბოლო ტურის წინ ლიდერთა სამეულში არიან: სამხეთრო-საზღვაო აკადემიის გუნდი — 52 ქულა, ქუთაისის „მშენებელი“ — 50 და კიევის „ავიატორი“ — 49.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

წარსულით ვჭვრეტთ მომავალს

საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი — ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი კერა

საქართველოში პროფესიული თეატრის აღდგენიდანვე საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილში და თეატრის მოღვაწეთა შორის თანდათან დაიბადა და მომწიფდა აზრი ქართული თეატრის საწყისების, მისი ცვლილებებისა და განვითარების შესწავლის შესახებ. ამისათვის საჭირო იყო დაგროვილი მასალა (იკონოგრაფია, რეკლამა, ფოტო და სხვ.) სისტემაში მოყვანილიყო. საამისოდ ქართულ დრამატულ საზოგადოებას არც გამოცდილება ჰქონდა, არც ნივთიერი შესაძლებლობა თუ სხვა შესაფერი პირობები.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო რთულდებოდა ამ საკითხის მოგვარება, ეს კი ხიფათში აგდებდა ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის საქმეს. მოსალოდნელი იყო ბევრი მასალის დაკარგვა, ანდა რაიმე მიზეზით განადგურება.

ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რევოლუციამდელი ქართული თეატრის საკითხებზე ცოტაა დაწერილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სცენის მოღვაწეთა იუბილეებთან დაკავშირებულ მოკლე ბიოგრაფიებს.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ
380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ — 99-66,10, ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲠᲝᲡ-ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-22-93, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲐᲦᲐᲛᲬᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-84, ᲡᲐᲐᲒᲠᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲛᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲛᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-68.
ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ
**ᲡᲝᲩᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ—2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲤᲝᲗᲘᲡᲗᲐᲕᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲩᲘᲮᲘᲢᲔᲚᲘ — 25-82; ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ — 45-32.

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

გატაცებულია საქართველოთი

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მოყვარულნი დიდად დაინტერესდნენ იუგოსლავი კერამიკოსის დრაგან მილოშევიჩის შემოქმედებით. თბილისის მხატვართა სახლში ახლახან მოწყობილი იყო მისი პერსონალური გამოფენა.

ზოგი რამ მის შესახებ. იგი 1946 წელს არის დაბადებული. 1979 წელს დაამთავრა ბელგრადის სამხატვრო აკადემიის დეკორატიული ხელოვნების განყოფილება. მისი, როგორც კერამიკოსის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა 1983 წელს მოეწყო ბელგრადში. შემდეგ კი იგი რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებზე გამართულ გამოფენებში. მაგალითად, 1981 წელს მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალაქ არანჯელოვიცში, ხოლო 1984 წელს ლატვიის ქალაქ ძინტარში გამართულ გამოფენებში.

რადგან მილოშევიჩის შემოქმედების საფუძველი ხალხური კერამიკაა. საყურადღებოა ისიც, რომ ხელოვანს თავისი ნაწარმოებები თვითონვე ამოჰყავს ჩარხზე. მისი შემოქმედება გვხიბლავს შემოქმედებითი ფანტაზიით, პროფესიონალიზმით, დახვეწილობით და გემოვნებით.

დ. მილოშევიჩი აღტაცებას ვერ ფარავდა გამოფენის გახსნისას. იგი ძალზე კმაყოფილი იყო იმით, რომ ქართველი ხელოვნების მოყვარულნი დაინტერესდნენ მისი ნამუშევრებით. თვითონ გატაცებულია საქართველოს ისტორიით, ხელოვნებით.

სასიხარულოა ისიც, რომ დრაგანი ქართველების სიძეა. მისმა მეუღლემ ლიზა ეპიტაშვილმა 1981 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, დრაგანი კი მისი დახმარებით ეუფლება ქართულ ენას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲓᲠᲐ�გᲐᲜ ᲛᲘᲚᲝᲨᲔᲕᲘᲩᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲘ.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სიახლე ალკოჰოლიზმის მკურნალობაში

ალკოჰოლიზმის მკურნალობის ორგანიზაცია სუბიექტურ და ობიექტურ სიძნელეებს აწყდება. სუბიექტური ფაქტორი დაავადების თავისებურებიდან მომდინარეობს. ალკოჰოლიზმი შეუმჩნევლად იწყება და თანდათანობით ვითარდება, ისე, რომ დაავადებული უკვე ვერ გრძნობს თავის გასაჭირს. ავადმყოფს ჰგონია, რომ სვამს „ჩვეულებრივ, როგორც ყველა“, ამიტომ საკუთარი ინიციატივით ექიმს არ მიმართავს. სუბიექტური მხარეა აგრეთვე ადამიანის მიერ დაავადების ფსიქოლოგიური უარყოფა — ფაქტის ცნობიერებიდან განდევნა, რის გამოც ალკოჰოლიზმი ნევროზის ერთ-ერთ სახესხვაობად ითვლება. ალკოჰოლი, როგორც პიროვნების დამანგრეველი ძალა, ადამიანს თავისი საქციელის სწორი შეფასების უნარს უსპობს, ხოლო შემდეგ, როგორც უპირატესად ნერვული სისტემის შხამი, მასზე ნარკოტიკული ნივთიერების დარად მოქმედებს. ყველას მოგეხსენებათ, რა ძნელია ნარკოტიზმის მარწუხებიდან თავის დახსნა.

ამჯერად ასეთი ვითარებაა: როდესაც ავადმყოფს მიიჰვიდრებენ, დაიყოლიებენ ან აიძულებენ, იგი ნარკოლოგიურ დისპანსერს მიაკითხავს და მას სამკურნალოდ გზავნიან. მკურნალობა ორგვარია: ამბულატორიული, რომელიც ნაკლებად ეფექტიანია, რადგან ხშირად გამუდმებული სმის დროებით შეწყვეტაც კი ვერ ხერხდება, და სტაციონარული, როცა ავადმყოფს, იზოლაციის მიზნით, ნარკოლოგიურ საავადმყოფოში ან ფსიქიატრიული სტაციონარის სპეციალურ განყოფილებაში ათავსებენ. სტაციონარიდან მას თვე-ნახევარზე ადრე არ გამოწერენ, თუმცა ორი კვირის ეგრეთ წოდებული დეზინტოქსიკაციური მკურნალობის შემდეგ ავადმყოფთა ნაწილი შრომისუნარიანი ხდება, შრომითი პროცესში არ ხერხდება ავადმყოფის ჩაბმა და ფაქტობრივად დარჩენილი დროში მას მხოლოდ წამლებს ასმევენ. თუ ამასთანავე განყოფილებაში არ არის დამკვიდრებული მწყობრი და სწორად გამიზნული ფსიქოთერაპიული ატმოსფერო, რომლის შექმნა საავადმყოფოს ტექნიკური პერსონალის, ისე თვით „შერეულ“ ავადმყოფთა კონტიგენტის თავისებურებათა გამო, არცთუ იოლ საქმედ ითვლება, ავადმყოფთა ერთი ნაწილი მოუთმენლად ელოდება გაწერის დღეს, ხოლო, თუ რომელიმეა ის სუბიექტური და ობიექტური სიძნელეები, რომლებიც ამ ავადმყოფთა მკურნალობის ორგანიზაციაში იჩენს თავს.

მაგრამ, აქაც, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მიმდინარეობს არსებით ხასიათის სასიკეთო ცვლილებები, ჩნდება მნიშვნელოვანი სიახლეები, რომლებიც აადვილებს ალკოჰოლიზმის მკურნალობის ორგანიზაციაში არსებულ დაბრკოლებებს. სიახლე ის არის, რომ ნებაყოფლობითია ალკოჰოლიზმის მკურნალობის ანონიმური წესი.

თბილისში შეიქმნა ანონიმური მკურნალობის ნარკოლოგიური კაბინეტი, სადაც მოვემსახურებით მკურნალობამნდომებულ პაციენტებს და განსაკუთრებით იმათ, ვისაც დაავადება ჯერ არ დაწყებია, მაგრამ, მოჰპრიბებული სმის გამო, როგორც ოჯახში, ისე სამსახურში უკვე აწუხებს თავისი უნებისყოფობით დაუძლეველი ლტოლვა ალკოჰოლური სასმელებისადმი. ამიტომ, მკურნალობის ანონიმური წესი ალკოჰოლიზმის, როგორც დაავადების თავიდან აცილების (პროფილაქტიკის), სიმედეო საშუალება უნდა გახდეს, რაც ნარკოლოგიის უკეთილშობილესი საქმეა. მკურნალობა ამბულატორიულია, საღამოს საათებში ხდება და ადამიანი არ მოსწყდება მისთვის ჩვეულ საცხოვრებელ და სამუშაო გარემოს. მკურნალობა ფასიანია და, როგორც მოგახსენეთ, ანონიმური: მოქალაქე თავისი სურვილით მოგვმართავს, ჩვენ მას პასპორტს არ მოვთხოვთ, არ გვაინტერესებს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, ყოველივე ამის მიუხედავად, დავიცავთ მის კონსტიტუციურ უფლებას, მაქსიმალურად საჭირო სამედიცინო დახმარებას აღმოვუჩენთ.

და, ბოლოს, კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ჩვენი პირადი ინიციატივიდან მომდინარეობს. ჩვენი ანტიალკოჰოლური მკურნალობა ძირითადად ფსიქოთერაპიული, შთაგონებითი იქნება. ნაკლებად გამოვიყენებთ ალკოჰოლური სასმელების ამკრძალავ (მასენსიბილიზირებელ) საშუალებებს, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში, არცთუ უვნებელია ორგანიზმისათვის, ხოლო შემთხვევითი დალევასას სიცოცხლისათვის საშიშ გართულებებს იძლევა. მაშასადამე, არა სიკვდილის შიშით, არამედ ალკოჰოლური სასმელებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გაძლიერებით, მყარი შინაგანი სიძულვილით აღვსილს დავემშვიდობებით ჩვენს პაციენტებს.

ამავე კაბინეტში შეგვიძლია თამბაქოს მწეველთა მედიკამენტური და ფსიქოთერაპიული დახმარება, თუ ისინი საკუთარი ნებისყოფით ვერ ახერხებენ ამ მავნე ჩვევის მოშლას.

საყურადღებოა ისიც, რომ მალე ჩვენთან ტოქსიკომანების (დამამშვიდებელ და საძილე ეფექტის მიმცეელთა) ანონიმური მკურნალობაც დაინერგება.

საბოლოოდ, ისღა დაგვრჩენია გაუწყოთ, რომ „ფასიანი ანონიმური მკურნალობის ნარკოლოგიური კაბინეტი“ იხსნება თბილისში, ლენინის რაიონში, მე-8 საავადმყოფოსთან ახლოს, ნოე ბუაჩიძის ქუჩის № 2-ში. კაბინეტს ცალკე შესასვლელი აქვს და გარეშე პირთაგან სრულიად იზოლირებულია.

თ. აბრამიშვილი,
ექიმი ფსიქიატრ-ნარკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ
4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. 8.00 — „90 წუთი“. 9.30 — მ. გორკი. „უკანასკნელნი“. ფილმ-სპექტაკლი. 12.20; 17.00 და 18.45 — ახალი ამბები. 17.10 — ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაცია. „ქორწინება“. 18.50 — თანამედროვის პორტრეტი. დოკუმენტური ფილმები. 19.25 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. საბჭოთა ესტონეთი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნა: გამოცდილება და პრობლემები. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „პრეტენდენტი“. I სერია. 23.55 — დღეს მსოფლიოში. 0.10 — კ. ნ. ბატიუშკოვი. დაბადების 200 წლისთავისათვის.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — კამერული მუსიკის კონცერტი. 9.40 — მაღვიძარა. 10.10 — დოკუმენტური ფილმები. 10.45 — მხატვრული ტელეფილმი „პრეტენდენტი“. I სერია. 11.50 — რუსული მეტყველება. 12.20 — „რობინ ჰუდი“. მეხუთე და მეექვსე ფილმი. 14.05 — ფრანგული ენა. 14.35 — კონცერტი. 15.05 და 19.00 — ახალ ამბები. 19.10 — საესტრადო